PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის"
მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია

წევრები: ვერიკო ჭიღლაძე
ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური)	10	10	2
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (დუალური)	5	4	0
ვებტექნოლოგიები	15	10	1

IV. საერთო მიმოხილვა

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 დეკემბრის MES 3 21 0001351528 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე; ვერიკო ჭიღლაძე, ექსპერტთა ჯგუფის წევრი; ალექსანდრე კეკენაძე ექსპერტთა ჯგუფის წევრი (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **20, 21 და 22 დეკემბერს,** შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის” (ს/კ 405318570) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და "ვებტექნოლოგიები" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯში,” ვიზიტის ადგილი ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, შორენა ხუბუნაიამ და ვერიკო ჭიღლაძემ ვიზიტი განახორციელეს 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს, ხოლო ალექსანდრე კეკენაძემ 2021 წლის 22 დეკემბერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში" (შემდგომში „კოლეჯი" ან „დაწესებულება" ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის N 639622 ბრძანების საფუძველზე, კოლეჯში განხორციელდა ფართის ცვლილებასთან დაკავშირებული წარმოება, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ქ. თბილისში, ჯანო ბაგრატიონის 6 ნომერში არსებულ შენობაში კოლეჯის მარლთზომიერ სარგებლობაში არსებული ფართი შენობის მე-4 სართულზე (556,31 კვ.მ). აღნიშნულ სართულზე კეთილმოწყობილია A, B, C, BC სასწავლო გარემოები, მასწავლებელთა სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს სივრცე, სტუდენტთა გასართობი სივრცე, სველი წერტილები და სხვა. წინამდებარე მონიტორინგის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ზემოაღნიშნულ მისამართზე შენობის მესამე სართულზე არსებული ფართის (384,77კვ.მ) ფლობის დამადასტურებელი ხელშეკრულება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები. აღნიშნულ სართულზე სასწავლო/ადმინისტრაციული ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, სადაც განთავსებულია სამედიცინო სივრცე, A სასწავლო გარემოს აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი. დაწესებულების ორივე სართულის ფართზე შესწავლილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა და წარმოდგენილია შესაბამისი მიწერილობა, ვრცლად იხილეთ 5.1. სტანდარტის აღწერა.

2021 წლის 16 დეკემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულე-ბების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (2 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (ვებ ტექნოლოგიები - 2 პირი; კომპიუტერული ქსელი და სისტემები (დუალური) – 4 პირი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები (I წელი) – 1 პირი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები (II წელი) - 3 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა (კომპიუტერული ქსელი და სისტემები - 4 პირი, მათ შორის 2 დისტანციურად; ვებ ტექნოლოგიები - 3 პირი) და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტებისა და დუალურ სწავლებაში ჩართული სასწავლო საწარმოს წარმომადგენლებს, საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს (სტუდენტურ საქმეთა ცენტრის/კლუბის წარმომადგენელი - 1 პირი; კარიერის მართვის ცენტრის წარმომადგენელი - 1 პირი), რომელთა ჩართულობითაც ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ცალკეული ღონისძიებები, დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშრებული საკითხები. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფისათვის ავტორიზაციის სტანდარტის ცალკეული კომპონენტის შესრულების მტკიცებულების წარუდგენლობის გამო, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა „აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“, რომელიც ხელმოწერილია დაწესებულების ხელმძღვანელისა და ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ (იხ. დანართი №2).

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ასევე წარუდგინა კოლეჯის მიერ ავტორიზაციის ცალკეული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბმისობის უზრუნველყოფისათვის გაწერილი „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა), იხ. დანართი №3.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 7 თებერვლის MES 4 22 0000115288 კორესპოდენციით ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე, რის მიხედვითაც დაწესებულება ეთანხმება დასკვნაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და იზიარება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. ამასთან, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის გაუმჯობესების გეგმა“ (დამტკიცებულია 15 ნოემბრის 19/21 ოქმით აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით, ცვლილება 2022 წლის 28 იანვრის 03/22 აკადემიური საბჭოს ოქმით), რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
სიატუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს უკვე გაგზავნილი იყო კორესპოდენცია კოლეჯის საგანმგებო სიატუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე, რაზეც დაწესებულებას პასუხი არ ჰქონდა მიღებული, აღნიშნული კორესპოდენცია დანართის სახით წარმოდგენილია ექსერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას (იხ. დანართი №16). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს საგანმგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია	--	სრული შესაბამისობა
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	--	მეტწილი შესაბამისობა
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	--	სრული შესაბამისობა
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	--	მეტწილი შესაბამისობა
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	--	სრული შესაბამისობა
4.2) პერსონალის განვითარება	--	მეტწილი შესაბამისობა
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	--	მეტწილი შესაბამისობა
5.2) საინფორმაციო რესურსები	--	მეტწილი შესაბამისობა
5.3) ფინანსური რესურსები	--	სრული შესაბამისობა

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 1.2.2.1 და 1.2.2.2 ინდიკატორების მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, ინდიკატორი 1.2.2.1-ის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
დაგეგმილია სტრატეგიული გეგმის შუალედური ანალიზი, ხოლო ინდიკატორი 1.2.2.2-ის შემთხვევაში სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ვრცლად იხილეთ პირველი სტანდარტის აღწერა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 2.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია კოლეჯის მიერ პროგრამის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელებით, ამასთან აღნიშნული პროცესის სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ვრცლად იხილეთ მეორე სტანდარტის აღწერა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მესამე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 3.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ვრცლად იხილეთ მესამე სტანდარტის აღწერა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 4.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 4.2.1.1 და 4.2.1.2 ინდიკატორების მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, ორივე ინდიკატორის შემთხვევაში სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ვრცლად იხილეთ მეოთხე სტანდარტის აღწერა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეხუთე სტანდარტი შეფასდა შეუსაბამოდ შესაბამისად, რადგან:

- 5.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“, რაც განპირობებულია 5.1.2.1 ინდიკატორის მეტწილი შესრულებით. დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიაუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ასევე, ინდიკატორი 5.1.1.7-ის მოთხოვნები შესრულებულია მეტწილად, კერძოდ, იდენტიფიცირებულია მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ვრცლად იხილეთ მეხუთე სტანდარტის აღწერა.

- 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია 5.2.1.4, 5.2.2.2, 5.2.3.2 და 5.2.3.6 ინდიკატორების მოთხოვნათა მეტწილი შესრულებით. კერძოდ, 5.2.1.4 და 5.2.3.6 ინდიკატორების შემთხვევაში სახეზეა მოცეული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელება. 5.2.2.2 ინდიკატორის შემთხვევაში დაწესებულებას გასაუმჯობესებელი აქვს საქმისწორამოების ელექტრონული სისტემა, ხოლო 5.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულების მიზნებისათვის დაგეგმილია კოლეჯის ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნა. აღნიშნული პროცესების სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. ვრცლად იხილეთ მეხუთე სტანდარტის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/სასწავლო პროცესის მართვის ციფრული პლატფორმა „ჩემი UGcollege“. პლატფორმა ინდივიდუალური ავტორიზაციის შესაძლებლობას იძლევა, რომლით სარგებლობისათვის პროფესიული სტუდენტებისათვის იქმნება ელექტრონული ფოსტა კოლეჯის კორპორატიული დასახელებით. პროფესიული სტუდენტები ინდივიდუალურ პროფილზე გადიან ავტორიაზციას და ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერით, კერძოდ პლატფორმის პროფილია: „ზოგადი ინფორმაცია - მთავარი“; „ჩემი ცხრილი“; „ჩემი შეფასებები“; „ჩემი განცხადებები“; „ჩემი ბიბლიოთეკა“; „შეტყობინებები“. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, იძლევა კომუნიკაციის შესაძლებობას. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საკუთარი გვერდიდან გააგზავნოს შეტყობინება ან განცხადება ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენელთან. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით პროფესიულ სტუდენტებს „ჩემი ბიბლიოთეკის“ გვერდზე ატვირთული აქვთ ელექტრონული სახელმძღვანელოები, „ჩემი შეფასებების“ ველში აისახება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები და სხვა. ვრცლად პლატფორმის შესახებ ფოტო მასალა იხილეთ დანართი №4-ის სახით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ, რომელიც თარიღდება 2021 წლის 29 აპრილით. დაწესებულების წარმომადგენელთა თქმით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილს დაწესებულება გაითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის ცვლილებების ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურების დაწყებისას, ხოლო რეკომენდაციების ნაწილის შესრულების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს:

- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი წესი;
- დუალურ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლების შიდა მარეგულირებელი წესი;

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ ჰქონდათ ინფორმაცია დუალური მიდგომით პროფესიულ სტუდენტთა სწავლების მიდგომებზე, 4 პროფესიულ სტუდენტს უკვე დაწყებული ჰქონდა სწავლა სასწავლო საწარმოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება აუმჯობესებს პროცესებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1.

ინდიკატორი 1.2.2.1; 1.2.2.2 - რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი და შეფასება

საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №1 აქტივობა ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის ანალიზს, ხოლო ამავე გეგმის №2 აქტივობა გულისხმობს პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვებს. აღნიშნული აქტივობების შესრულებისთვის დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი 2.

ინდიკატორი 2.3.1.2 – რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, რომლის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელილების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებათა კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი 3.

ინდიკატორი 3.2.1.5 - რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვები, განახორციელოს მათი ანალიზი და პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე განახორციელოს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობა.

საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა) -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

№2 აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებათა კვლევას (რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში), ხოლო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი 4.

ინდიკატორი 4.2.1.1; 4.2.1.2 - რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება. *საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა) - №2 აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის საქმისანობის შეფასება-შესწავლას (რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში). ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

სტანდარტი 5.

ინდიკატორი 5.1.1.7 - რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს კოლეჯის რესურსების შეფასება და განვითარება. *საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა) - №2 აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებათა კვლევას (რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში) ხოლო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

ინდიკატორი 5.1.2.3 რეკომედებულია დაწესებულებამ უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებო სიატუაციების მართვის გეგმა. *საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის გაუმჯობესების გეგმით“ (დამტკიცებულია 15 ნოემბრის 19/21 ოქმით აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით, ცვლილება 2022 წლის 28 იანვრის 03/22 აკადემიური საბჭოს ოქმით), რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის საგანგებო სიატუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. (აქტივობის შესრულებისთვუს დათმობილია 3 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის მარტში) კოლეჯმა აღნიშნული პრობლების მოგვარება დაიწყო 2021 წლის დეკემბერში. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ინდიკატორი 5.2.1.4 - რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება. *საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა) - №2 აქტივობა, (აქტივობის შესრულებისთვუს დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში) ხოლო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასებასებათან დაკავშირებით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

ინდიკატორი 5.2.2.2 - რეკომენდებულია დაწესებულებამ საქმისწარმოების სანდოობის უზრუნველყოფისათვის განავითაროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. *საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №4 და №5 აქტივობად გაწერილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გაუმჯობესება და დოკუმენტების რეგისტრაციის გასწორება, რომელთა შესრულების ვადა შეადგენს 3 თვეს და სრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 01 მაისისა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

ინდიკატორი 5.2.3.2 - რეკომენდებულია დაწესებულებამ შექმნას ინგლისურენოვანი ვებგვერდი. *საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №3 აქტივობა ითვალისწინებს ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნის ვადა შეადგენს 2 თვეს და სრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 28 თებერვლისა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

ინდიკატორი 5.2.3.6 - რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. *საანგარიშო პერიოდში მოცემული აქტივობა დაგეგმილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმით“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას მათ საჭიროებებზე კოლეჯის უკუკავშირის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებასებათან დაკავშირებით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი №1

ინდიკატორი 1.2.1.1 - დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაიცვას სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 1.2.1.3 - სტრატეგიული დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები განსაზღვროს კომპლექსურად, დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი ღონისძიების სახით, რომელიც სრულად ასახავს პროფესიული განათლების სპეციფიკას, ამასთან სტრატეგიული მიზნის/ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის შერჩევისას იხელმძღვანელოს კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესების ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული პირების უფლებამოსილების გათვალისწინებით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი №2

ინდიკატორი 2.1.1.1 - დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის მიერ ამა თუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ასევე ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ვრცლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პროგრამების მიზანშეწონილობის შესწავლასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯს დაეხმარება როგორც სამომავლოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას, ისე არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.2.1.2 - პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 2.4.1.2 - დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს დისტანციური სწავლების წესი. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი №3

ინდიკატორი 3.2.1.5 - პროფესიულ სტუდეტთა პერსონალისგან უკუკავშირის მიღების ერთ-ერთ მექანიზმად კოლეჯში არსებობს ე.წ. „ანონიმური ყუთის“ პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ანონიმური ყუთით“ სარგებლობის ინსტრუქცია, განსაზღვროს ყუთის გახსნის ვადები, პასუხისმგებელი პირები, პროფესიულ სტუდენტებთან უკუკავშირის მექანიზმები და სხვა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი №4

ინდიკატორი 4.1.1.1 - მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და მოვიდეს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 4.1.1.3 - მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ერთეულად/პირად სასურველია განისაზღვროს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ინდიკატორი 4.1.2.1 - დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 4.1.2.2 - დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის შრომის ანაზღაურებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ადმინისტრების საკითხები. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 4.1.2.3 - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა). ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 4.2.1.3 - დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ინდიკატორი 4.2.1.5 - დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

სტანდარტი №5

ინდიკატორი 5.1.1.11 - მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია ბიბლიოთეკაში განხორციელდეს მკითხველთა რეგისტრაცია, რაოდენობრივი და თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით საბიბლიოთეკო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მკითხველებისათვის კურიკულუმს გარეშე ლიტერატურის/სერვისის შეთავაზების გზით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მისიაა **ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, პროფესიული სტუდენტის აღჭურვა თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას და თვითრიალიზაციას**. აღნიშნული მისიით კოლეჯი ეხმიანება პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ისეთ მიზნებს, როგორიცაა „ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, „საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა“. კოლეჯის მისიიდან ჩანს დაწესებულების როლი, რომ ის ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების კვალდაკვალ უზრუნველყოს პროფესიონალი კადრების მომზადება და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას/თვითრელიზებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, ვიდაინ დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. დაწესებულების მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის მრავალპროფილურია და იძლევა შესაძლებლობას კოლეჯმა განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;
- შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისთვის სასწავლო საწარმოების ჩართულობით ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც მოდულური, ისე დუალური მიდგომით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით, კოლეჯში ფუნქციონირებს CISCO-ს აკადემია. აღნიშნული აკადემიის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებული და სხვა პირები ახორციელებენ ცოდნა-უნარების უწყვეტ განვითარებას, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროსთვის უმნიშვნელოვანესია;
- კოლეჯს ჰყავს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიციური კადრები;
- კოლეჯის ადმინისტრაციული და პროფესიული განათლების მასწავლებელთა დამოკიდებულებები პროფესიული სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ, კოლეჯის დირექტორის უშუალო ჩართულობით წარმართული პერმანენტული სამუშაო შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან, მათი საჭიროებების გაზიარება და სხვა ღონისძიებები, იძლევა კოლეჯის ღირებულებებში გაცხადებული პრინციპების - *ჰუმანურობა, თანასწორობა, სამართლიანობა* პრაქტიკაში რეალიზების საფუძველს, რაც დასტურდება კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- ინოვაციების სწრაფვასთან დაკავშირებით კოლეჯის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია აქტივობა - „საქართველოში წარმოდგენილ დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა პროფორიენტაციის ინოვაციური ინსტრუმენტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით“, კოლეჯში ასევე დანერგილია პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UG College“, რომელიც უზრუნველყოფს ერთ პლატფორმაზე პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლის, დოკუმენტაციის/სასწავლო რესურსების მიწოდების, შეფასების შედეგების საკუთარ პროფილზე განთავსებისა და სხვა აქტივობათა შესრულების შესაძლებლობებს.

- კოლეჯს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და მისიით გაცხადებული ორიენტირების რეალიზებისათვის დაგეგმილი აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მიერ შეიქმნა 2019 წელს და სტრატეგიული გეგმის პროექტთან ერთად 2019 წლის 20 სექტემბერს განხილულ იქნა დამფუძნებელთა კრებაზე (ოქმი №03/19, 20.09.2019). დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, ასევე სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი კოლეჯის პერსონალს გაეცნო 2019 წლის 5 დეკემბერს, რის დასტურადაც წარმოდგენილია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის გაცნობის“ ფურცელი, რომელიც ხელმოწერილია კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დაინტერესებულ პირთა მხრიდან, მათ შორის: კოლეჯის დირექტორი, იურისტი, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ბიბლიოთეკის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ექიმი, IT მენეჯერი, დაცვისა და შრომის უსაფრთხების მენეჯერი, დასუფთავების მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, ვებ ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამის ხელმძღვანელი, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი, პარტნიორი დაწესებულებების დირექტორები, კერძოდ: შპს „ორიენტ ლოჯიკი“, შპს „გრინ სისტემი“, შპს „ლემონდო“, შპს „ემბისი“, შპს „პისი კორნერი“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია საზოგადოების ფართო წრისათვის და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე, დართულია სტრატეგიული გეგმაზე, კატალოგსა და სხვა დოკუმენტებზე.

დაწესებულება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის იყენებს კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 სექტემბრის N04/10 ოქმით დამტკიცებულ დოკუმენტს „მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება“, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 ოქმით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

გაწერილია კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებასა და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის აღწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების თანამონაწილეობითი პროცესი, ჩართული და დაინტერესებული პირები, პროექტის გაცნობისა და განხილვის გზები, შინაარსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური მიდგომები და სხვა.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში კოლეჯს მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილებები არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 ოქმით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 სექტემბრის N04/10 ოქმით დამტკიცებული დოკუმენტი „მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება“;
3. კოლეჯის პრატნიორთა კრების 2019 წლის 20 სექტემბრის №03/19 დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული გეგმა;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის №20/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022წწ);“
5. დამფუძნებელთა 2019 წლის 20 სექტემბრის კრების №03/19 ოქმი „მისიის, ხედვის, ღირებულებები და სტრატეგიული გეგმის“ განხილვისა და დამტკიცების შესახებ;
6. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის გაცნობის ფურცელი;
7. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
8. კოლეჯის ვებგვერდი - https://ugcollege.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

9. კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დამფუძნებელთა კრების 2019 წლის 20 სექტემბრის №03-19 სხდომაზე განხილულია შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული გეგმა. დამფუძნებელთა კრების 2020 წლის 10 ივნისის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით ცვლილებები განხორციელდა კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში და გეგმა გაიწერა 7 წლის ვადით. აღნიშნული ცვლილების პროექტი შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 მაისის №03-1/20 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

კოლეჯის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის №20/21 ბრძანებით, ხოლო სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 მაისის №03-1/20 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები გაწერილი აქვს კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში, რომლის მიხედვით **სტრატეგიული გეგმის შედგენის, ცვლილების შეტანისა და გაზიარების პროცედურის** პუნქტი 1. სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, შესაბამისად, ამ პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში კოლეჯის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვას.

აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით **სტრატეგიული გეგმის შედგენის, ცვლილების შეტანისა და გაზიარების პროცედურის** მე-8 პუნქტის მიხედვით, „საბოლოოდ მოწონებულ სტრატეგიული განვითარების გეგმას და სამოქმედო გეგმას ამტკიცებს აკადემიური საბჭო“. მაშინ როდესაც შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისი №20/21 ბრძანებით (იხ. დანართი №5).

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის** დოკუმენტში, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 ოქმით, გაწერილია კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და ცვლილებების განხორციელების პროცედურა, განსაზღვრულია კოლეჯის სტრატეგიულ დაგეგმვასა და სამოქმედო გეგმის პროექტების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, დოკუმენტების შინაარსის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური მიდგომები, წარმოდგენილია სტრატეგული და სამოქმედო გეგმის გაზიარების სქემა, განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ვადები, შეფასების, ანგარიშგების პროცედურა და პასუხისმგებელი პირები.

კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური პროცესია და ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით მეექვსე წელს იწყება მომდევნო 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის - 6 თვეში ერთხელ, მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
მენეჯერი. მონიტორინგის შედეგებს ხარისხის მართვის მენეჯერი ასახავს ანგარიშში და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ანგარიში განიხილება პერსონალთან, აკადემიურ საბჭოზე და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაიცვას სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა.

2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის** დოკუმენტში, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 ოქმით, გაწერილია კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და ცვლილებების განხორციელების პროცედურა, განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მონაწილე მხარეები, დაინტერესებული პირები კერძოდ: წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში კოლეჯის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვას.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა შეიქმნა 2019 წელს, საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მიერ და 2019 წლის 20 სექტემბერს დამტკიცდა დამფუძნებელთა კრებაზე (ოქმი №03/19, 20.09.2019). დაინტერესებული პირებისათვის სტრატეგიული გეგმის გაცნობისა და პროცესში მათი ჩართულობის დასტურად წარმოდგენილია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის გაცნობის“ ფურცელი, რომელიც ხელმოწერილია კოლეჯში განსაზღვრული დაინტერესებული პირების მიერ, მათ შორის: კოლეჯის დირექტორი, იურისტი, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ბიბლიოთეკის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ექიმი, IT მენეჯერი, დაცვისა და შრომის უსაფრთხების მენეჯერი, დასუფთავების მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, ვებ ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამის ხელმძღვანელი, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი, პარტნიორი დაწესებულებების დირექტორები, კერძოდ: შპს „ორიენტ ლოჯიკი“, შპს „გრინ სისტემი“, შპს „ლემონდო“, შპს „ემბისი“, შპს „პისი კორნერი“. რაც ცხადყოფს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
რომ კოლეჯი სტრატეგიულ დოკუმენტებს, მათ შორის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათი მოლოდინების გათვალისწინებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. კოლეჯის პარტნიორთა კრების 2019 წლის 20 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სტრატეგიული 7 წლიანი გეგმა“, რომელიც განახლებულია კოლეჯის პარტნიორთა კრების 2020 წლის 10 ივნისის №01/20 ოქმით, მოიცავს **ზოგად ინფორმაციას** - კოლეჯის მისია, ღირებულებები, ხედვა, SWOT ანალიზი; **სტრატეგიულ მიზნებს** - კოლეჯს განსაზღვრული აქვს 3 სტრატეგიული მიზანი: 1. პროგრამის დანერგვა, 2. ინფრასტრუქტურის განვითარება და 3. კოლეჯის პოპულარიზაცია; **შესრულების ინდიკატორებს** (KPI); **მიზნის მიღწევის სტრატეგიებს**; **მიზნის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს ან სამსახურებს**; **მიზნის შესასრულებლად საჭირო რესურსებს.** თითოეული მიზნისათვის განსაზღვრულია დროში გაწერილი ამოცანები და შესასრულებელი აქტივობები. თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვა კომპლექსურად უნდა წარმოადგენდეს დაწესებულების განვითარების გრძელვადიან ხედვას და არ უნდა იყოს კონცენტრირებული კონკრეტულ პროგრამაზე ან კონკრეტულ აქტივობაზე ვიწრო ჭრილში, მაგალითად:

- კოლეჯის 1.1 სტრატეგიული მიზანია: „კომპიუტერული ქსელების პროფესიული პროგრამის დანერგვა 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან“;
- ამოცანებია: 1.1.1 პროგრამაზე მომუშავე გუნდის დაკომპლექტება (2019 წ. I კვარტალი). 1.1.2 აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება (2019 წ. I კვარტალი);
-აქტივობებია: 1.1.2.1 აკადემიური პერსონალისათვის ვაკანსიების გამოცხადება/კონკურსის ჩატარება. 1.1.2.2 თანამშრომლების ხელშეკრულების გაფორმება და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნული უფრო წლიური სამოქმედო ან ოპერატიული გეგმის აქტივობებია, ვიდრე სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით უმაღლესი განათლების პროცესების აღმწერ ისეთ ტერმინებს, როგორიცა: „აკადემიური პერსონალი“, „სილაბუსი“ და სხვა. რიგ შემთხვევებში სტრატეგიული მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები საჭიროებს გადახედვას. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების დამატების აქტივობებისათვის პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის სამსახური, რაც ხარისხის ურუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისას საფრთხეს უქმნის პროცესში მონაწილეების ინტერესთა კონფლიქტის დაცვას.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულ 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, აქტივობების განხორციელების ვადები, ინდიკატორი, პასუხისმგებელი პირი, მატერიალური რესურსი, ფინანსური რესურსი. ამასთან, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თვისობრივად კავშირშია სამოქმედო გეგმაში გაწერილ მიზნებსა და ამოცანებთან თუმცა, იდენტური არაა. მაგალითად, სტრატეგიულ გეგმაში პირველი სტრატეგიული მიზანია „პროგრამის დანერგვა“, ხოლო სამოქმედო გეგმაში მოცემული მიზანი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა“; კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია როგორც სტრატეგიული მიზანი №2, მაშინ, როდესაც სამოქმედო გეგმაში კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება მოცემულია, როგორც ამოცანა და ა.შ. აღნიშნული კი მოწმობს, რომ კოლეჯმა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით სწორად უნდა განსაზღვროს სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმაში გაწეროს მათი შესრულების აქტივობები.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის გაუჯობესების გეგმა“, რომელიც შედგენილია ავტორიზაციის ცალკეული სტადარტების მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად. გეგმაში განსაზღვრულია იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი საკითხების აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, გაუმჯობესების აქტივობები, დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, დრო თვეებში, პასუხისმგებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები, დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, მატერიალური რესურსი, დამატებით საჭირო მატერიალური რესურსი და მისი გამოყენების ფორმა, შესრულების ინდიკატორები, დადასტურების წყარო, რისკები და მათი ალბათობა, შენიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები განსაზღვროს კომპლექსურად, დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი ღონისძიების სახით, რომელიც სრულად ასახავს პროფესიული განათლების სპეციფიკას, ამასთან სტრატეგიული მიზნის/ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის შერჩევისას იხელმძღვანელოს კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესების ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული პირების უფლებამოსილების გათვალისწინებით. ვრცლად იხილეთ 1.2.1-3 ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 ოქმით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 ოქმი „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
3. კოლეჯის პარტნიორთა კრების 2019 წლის 20 სექტემბრის №03/19 დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული გეგმა;
4. დამფუძნებელთა კრების 2020 წლის 10 ივნისის №01/20 საოქმო გადაწყვეტილება „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
5. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 მაისის №03-1/20 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის №20/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022წწ);“
7. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მისიის, (ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის გაცნობის ფურცელი;
8. კოლეჯის ვებგვერდი - https://ugcollege.ge/
9. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი წარმოებს 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის - 6 თვეში ერთხელ, მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. მონიტორინგის შედეგებს ხარისხის მართვის მენეჯერი ასახავს ანგარიშში და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ანგარიში განიხილება პერსონალთან, აკადემიურ საბჭოზე და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კოლეჯს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა 2021 წელს, თუმცა აღნიშნული არ განხორციელებულა, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით ეს აქტივობა დაგეგმილია 2022 წლის იანვრის თვეში (იხ. დანართი №3, აქტივობა №1).

კოლეჯმა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების დასტურად წარმოადგინა - 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აღნიშნული ანგარიშის განხილვის მტკიცებულება - კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 სექტემბრის №15-1/21 ოქმი და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შეფასების ფურცელი, რომლის მიხედვით ირკვევა სრულად, ნაწილობრივ ან შეუსრულებელი აქტივობები. ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, 2020-2021 წელს დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი სრულად შესრულებულია.

კოლეჯის 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის №07-1/21 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კოლეჯის დაინტერესებული პირების მიერ სტრატეგიული დოკუმენტების (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა) და სამოქმედო გეგმის შეფასების მიზნით შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელთა გამოკითხვის კითხვარები, ცალკეულ პირთა გამოკითხვა ჩატარებულია, თუმცა გამოკითხვის ანალიზი არ განხორციელებულა და დაგეგმილი 2022 წლის იანვარსა და თებერვალში (იხ. დანართი №3, აქტივობა №2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი და შეფასება, ხოლო სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მტკიცებულება წარმოდგენილია, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №1 აქტივობა ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის ანალიზს, ხოლო ამავე გეგმის №2 აქტივობა გულისხმობს პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას. აღნიშნული აქტივობების შესრულებისთვის დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში.

2. კოლეჯს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა 2021 წელს, თუმცა აღნიშნული არ განხორციელებულა და დაგეგმილია 2022 წლის იანვრის თვეში (იხ. დანართი №3, აქტივობა №1).

კოლეჯის 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განხილულ იქნა კოლეჯის კოლეგიალური ორგანოს - აკადემიური საბჭოს სხდომაზე, რომელთა გათვალისწინებით შემუშავდა 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სამოქმედო გეგმის კორექტირების საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, მათ შორის პერსონალის წახალისების ან დისციპლინური პასუხიმგებლობის ღონისძიებებს, გეგმის კორექტირების შესაძლებლობას და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულება მეტწილად რეაგირებს შეფასების შედეგებზე, რადგან კოლეჯს ჯერ არ განუხორციელებია, თუმცა კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ №1 აქტივობით (შესაბამისობის გეგმა) დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი და შეფასება, რომელიც დასრულდება 2022 წლი 31 იანვარს.

3. კოლეჯის 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N03/20 ოქმით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 ოქმი „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
3. კოლეჯის პარტნიორთა კრების 2019 წლის 20 სექტემბრის №03/19 დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული გეგმა;
4. დამფუძნებელთა კრების 2020 წლის 10 ივნისის №01/20 საოქმო გადაწყვეტილება „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის“ სტრატეგიული გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
5. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 მაისის №03-1/20 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის №20/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022წწ);“
7. კოლეჯის 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
8. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის №07-1/21 ბრძანება კოლეჯის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

9. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
10. კოლეჯის ვებგვერდი - https://ugcollege.ge/
11. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-8 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობს, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მათ შორის დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №03/21 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესი“, სადაც განსაზღვულია დუალური მიდგომით პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები და დამტკიცებულია კომისიის შემადგენლობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აპლიკანტებთან გასაუბრება. კომისიის შემადგენლობაში კოლეჯის პერსონალის გარდა სავალდებულოდ შედის დარგობრივი ორგანიზაციის (საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაცია) წარმომადგენელი. აღნიშნული პროცედურა ასევე შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბერს გამოიცა №21/21 ბრძანება - „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების კომისიის შემადგენლობისა და თარიღების დადგენის შესახებ“. ბრძანებაში განსაზღვრულია: მოტივაციური გასაუბრების კომისიის შემადგენლობა თითოეული პროგრამისათვის, პროგრამის დასახელებები, აპლიკანტთა რაოდენობები, მისაღებ პროფესიულ სტდენტთა რაოდენობები, გასაუბრების თარიღები და საათი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კომისიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები - გასაუბრების კითხვარები და შეფასებები, ასევე დათვალიერდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა და კომისიის თითოეული წევრის მიერ შეტანილი შეფასებები/შეჯამებული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №26/21 ბრძანება გამოცემულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ. მოტივაციური გასაუბრების შედეგებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა 2020 წელს, რის თაობაზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №08/20 და 2020 წლის 14 ოქტომბრის №15/20 ბრძანებები.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ იყო დიდი, ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვით, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე სრულად შეამოწმა ყველა პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არაა წინაღმდეგობაში კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებთან. კოლეჯს ჰყავდა 2 არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, რომელთა პირად საქმეში განთავსებული იყო მშობლების პირადობის მოწმობები, თუმცა არ იყო წარმოდგენილი დაბადების მოწმობების ასლები ან უფლებამოსილი წარმომადგენლის დამადასტურებელი სხვა დაოკუმენტები, რაც ექსპერტებს მიეწოდათ ვიზიტის პერიოდში. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებებს, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით გამოითხოვა 3 პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 19 ოქტომბერს №17/20 ბრძანებით შეუჩერდა ერთ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება, რაც ახლავს კოლეჯის დირექტორის ბრძანებას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ნოემბერს №18/20 ბრძანებით 2 პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, სადაც გარემოება ასევე პროფესიულ სტუდენტთა პირადი განცხადებები იყო. პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების შესახებ ყველა საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი იცავს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებს.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურასა და პირობებს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით ჯერ არავის მოუმართავს, შესაბამისად, სტატუსის აღდგენის საქმისწარმოება ჯერ არ განხორციელებულა. აღნიშნული ფაქტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში და პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიზნობრივი კითხვების დასმით. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დადასტურდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურა არ განხორციელებულა.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. 2021 წლის 11 იანვარს გამოცემულია კოლეჯის დირექტორის №01/21 ბრძანება პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეწყვეტილი აქვს 10 პროფესიულ სტუდენტს, რომლის საფუძვლად მითითებულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიუღწევლობა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებას ახლავს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელების მიმართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებმაც დაადასტურეს ის ფაქტი, რომ სწავლის შედეგების მიუღწევლობა არის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი და კოლეჯი იცავს აღნიშნულ წესებს. პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი იცავს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულ დებულებებს.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ პროფესიულ სტუდენტთა შიდა ან გარე მობილობის მოთხოვნით ჯერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
არავის მოუმართავს, შესაბამისად, მობილობის საქმისწარმოება ჯერ არ განხორციელებულა. აღნიშნული ფაქტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში და პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიზნობრივი კითხვების დასმით. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დადასტურდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცედურა არ განხორციელებულა.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „ფორმალური განათლების აღიარების წესი“. ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული პროცედურები, დებულებები და წესები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“ ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტის 31-33 პუნქტები არეგულირებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების მიდგომებს. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლში მოცემულია ჩანაწერი არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული მიდგომები. კოლეჯს არ აქვს მოპოვებული არაფორმალური განათლების აღიარების უფლება, შესაბამისად აღნიშნულ პროცედურას არ ახორციელებს. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით ჯერ არავის მოუმართავს, შესაბამისად, მიღებული განათლების აღიარების საქმისწარმოება ჯერ არ განხორციელებულა. აღნიშნული ფაქტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში და პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიზნობრივი კითხვების დასმით. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დადასტურდა, რომ კოლეჯში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა არ განხორციელებულა.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას. აღნიშნული დებულებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კოლეჯმა აღნიშნული პროცედურის დაცვით 2021 წლის ნოემბერში განახორციელა კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტის შესაბამისად.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
პროგრამისათვის“. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები, ასევე წარმოდგენილია „საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა,“ რომელიც ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის შედეგების სისტემატიზაციას. კოლეჯმა წელს პირველად მიიღო პროფესიული სტუდენტები დუალური მიდგომით სწავლებისათვის, შესაბამისად ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა ჯერ არ განხორციელებულა.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები (დოკუმენტში ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის №05/21 საოქმო გადაწყვეტილებით). აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართულ პირებს, მათ შორის პროფესიული სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის ანგარიშგების საკითხებს, რომელსაც ევალება ინდივიდუალი გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების სწავლების ანგარიშის წარმოდგენა ყოველი მოდულის დასრულებისას, განსაზღვრულია ანგარიშის განხილვისა და შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების მიდგომები. კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლია ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რაც გადამოწმდა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიზნობრივი კითხვების დასმის გზით.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა, შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობის ვადები და პროცედურები, შეფასების შედეგების აპელაციის წესები. დოკუმენტში განსაზღვრული დებულებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა, ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

2. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილავს სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებებს, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთათვის მიწოდებული სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სხვა თემებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის პრეზენტაციები. ექსპერტთა ჯგუფმა ეს ინფორმაცია გადაამოწმა 2020 და 2021 წელს ჩარცხულ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ გარდა საორიენტაციო შეხვედრისა, სასწავლო პროცესის განმავლობაში თითქმის ყოველ კვირას, კოლეჯის დირექტორი თავად ხვდება პროფესიულ სტუდენტებს, ეცნობა მათ საჭიროებებს, აძლევს მითითებებსა და რჩევებს და სხვა. კოლეჯის წარმომადგენლები ყოველდღიურად დაუზარელად ახორციელებს მათ მხარდაჭერას, ისინი სწავლობენ თბილ და ჰუმანურ გარემოში, სადაც დაცულია მათი უფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიულ სტუდენტებს შეფასების სისტემის, მათ შორის აპელაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრისას სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კონკრეტული მოდულის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სპეციფიკის, ვადებისა და პირობების შესახებ ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ასახულია მოდულის კალენდარულ გეგმებში. მოცემული პროცედურა გაწერილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესში“. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა 10 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის: 2020 წელს ჩარიცხულ 3 პროფესიულ სტუდენტს, 2021 წელს ჩარიცხულ 3 პროფესიულ სტუდენტს, 2021 წელს დუალური მიდგომით პროგრამაზე ჩარიცხულ 4 პროფესიულ სტუდენტს და 2 კურსდამთავრებულს. ყველამ დაადასტურა, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. პროფესიულ სტუდენტებმა დეტალურად აღწერეს შეფასების პროცესი, შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით დაასახელეს კოლეჯის ელექტრონული პლატფორმა, აღწერეს შეფასების შედეგების განხილვისა და უკუკავშირის პროცესი და მისი მნიშვნელობა მათი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რამდენიმე სტუდენტმა აღწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
განმეორებითი შეფასების პროცესი, რადგან მათ ისარგებლეს მოცემული სერვისით. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თქმით შეფასების შედეგების აპელაციის საჭიროება არ ჰქონიათ, თუმცა იცნობენ პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე სრულად შეამოწმა ყველა პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, მათ შორის სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებულების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს. კოლეჯს ჰყავდა 2 არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, რომელთა პირად საქმეში განთავსებული იყო მშობლების პირადობის მოწმობები, თუმცა არ იყო წარმოდგენილი დაბადების მოწმობების ასლები ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ექსპერტებს მიეწოდათ ვიზიტის პერიოდში. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებები ორივე პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები (დოკუმენტში ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის №05/21 საოქმო გადაწყვეტილებით). აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობას, მათ შორის პროფესიული სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის ანგარიშგების საკითხებს, რომელთაც ევალება ინდივიდუალი გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების სწავლების ანგარიშის წარმოდგენა ყოველი მოდულის დასრულებისას, განსაზღვრულია ანგარიშის განხილვისა და შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების მიდგომები. კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლია ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რაც გადამოწმდა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიზნობრივი კითხვების დასმის გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №03/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესი“;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის №21/21 ბრძანება - „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების კომისიის შემადგენლობისა და თარიღების დადგენის შესახებ“;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №26/21 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ;
6. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №08/20 და 2020 წლის 14 ოქტომბრის №15/20 ბრძანებები პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 19 ოქტომბრის №17/20 ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ;
8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ნოემბრის №18/20 ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ;
9. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 11 იანვრის №01/21 ბრძანება პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
10. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ილისის №11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების აღიარების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

11. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
12. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის“;
13. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
14. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
15. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
16. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები კოლეჯის პერსონალისგან კონსულტირებასა და მხარდაჭერას იღებენ შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც კოლეჯის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, მიზნების, ხედვა და ღირებულებების, სამოქმედო გეგმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებების, შეფასების სისტემის, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების, პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების თაობაზე და სხვა;
- კოლეჯის დირექტორი კვირაში ერთხელ ხვდება პროფესიულ სტუდენტებს, ეცნობა მათ საჭიროებებსა და ახდენს შესაბამის რეაგირებას;
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი მუდმივ რეჟიმში ახდენს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან კოლეჯში ან ონლაინ, ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- პროფესიული სტუდენტები ჩართულნი არიან კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაში „ჩემი UGcollege“ და უწყვეტ რეჟიმში აქვთ შესაძლებლობა ეკონტაქტონ კოლეჯის ადმინისტრაციას, მიწერონ და მიიღონ უკუკავშირი, როგორც ოფიციალური, ისე სწრაფი სასაუბრო რუბრიკის/ჩატი გამოყენებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ ასევე გამოიყენება კორპორატიული ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები გარდა საუდიტორიო მუშაობისა, მუდმივად კავშირში არიან პროფესიულ სტუდენტებთან და აძლევენ მათ შესაბამის რჩევებსა და უწევენ კონსულტაციას. პროფესიული განათლების მასწავლებლები პერსონალური მონაცემების დაცვით იხილავენ შეფასების შედეგებს და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს პროფესიულ სტუდენტებს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ამავდროულად არიან ცალკეული მოდულების განმახორციელებელი პირები და შესაბამისად აქვთ ურთიერთობა პროფესიულ სტუდენტებთან.

ზემოაღნიშნული მექანიზმები გაწერილია კოლეჯის შემდეგ შიდა მარეგულირებელ აქტებში:

- კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“;
- კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
- კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 ლის 20 დეკემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები“.

პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც კოლეჯის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, მიზნების, ხედვა და ღირებულებების, სამოქმედო გეგმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებების, შეფასების სისტემის, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების, პროფესიული სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების თაობაზე და სხვა.

პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტების გაგზავნის, დუალური მიდგომით სწავლებისას სასწავლო საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა გაგზავნის წინ უტარდებათ ინსტრუქტაჟი და კონსულტაციები.

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

3. კოლეჯის საქმისწარმოების წესის მე-3 მუხლის მიხედვით, შემოსული დოკუმენტების განხილვის ვადად განსაზღვრულია 3-5 დღე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მათთვის საჭირო ინფორმაციის/ცნობის ან სხვა დოკუმენტის მოთხვონის შესახებ განაცხადი გააკეთონ ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UGcollege“ გამოყენებით. აღნიშნული პლატფორმით სარგებლობის პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმდა სატესტო განაცხადების გაგზავნით. პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ კოლეჯს და მოითხოვონ მათთვის საჭირო ნებისმიერ ინფორმაცია ან დოკუმენტი, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/დუბიკატი, რომლის დროსაც კოლეჯი ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფს პროფესიული დიპლომის დუბლიკატის დამზადებას, ხოლო პროგრამის დასრულებიდან კოლეჯი 2 თვის ვადაში ახორციელებს პროფესიული განათლების დიპლომის დამზადებას. აღნიშნული პროცედურა კოლეჯში რეგულირდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესით“.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ან სხვა სახის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული ვადები არასდროს არ დარღვეულა, მეტიც - როგორც წესი ერთი ან ორი დღის ვადაში ხდება კოლეჯის მხრიდან რეაგირება.

აღნიშნული ფაქტი ასევე დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 ლის 20 დეკემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების“ მე-3 მუხლის 3.1.3 პუნქტის მიხედვით, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ინიციატივების დაკმაყოფილებასა და არაფორმალურ აქტივობებში მათ ჩართულობას უზრუნველყოფს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. აღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯსა და საქართველოს უნივერისიტეტს შორის 2019 წლის 01 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი (იხ. დანართი №6). მემორანდუმის მიხედვით საქართველოს უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- კოლეჯის სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა/დაფინანსება, არაფორმალური აქტივობების წახალისება უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბების აქტიური ჩართულობით;
- კოლეჯის სტუდენტებისათვის სპორტული, სახელოვნებო, შემეცნებითი მიმართულებით პროექტების განხილვა/განხორციელებაში მხარდაჭერა უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით.

ზემოაღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში კოლეჯის სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელების ფაქტების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც ისაუბრა ცენტრის საქმიანობისა და სტუდენტების, მათ შორის კოლეჯის პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობებზე, მათი ინიციატივების განხილვისა და დაკმაყოფილების გზებზე, რაც პროცედურად გაწერილია უნივერისტეტის სტუდენტურ საქმეთა დებულებაში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მოცემულ დებულებას. დებულებაში დეტალურადაა გაწერილი სტუდენტური კლუბის საქმიანობა, სტუდენტების ინიციატივების წარდგენის, განხილვისა და დაფინანსების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ ყველა პროცედურა დაკავშირებულია სტუდენტური პლატფორმის „ჩემი UG“ გამოყენებასთან, რომელთანაც დაკავშირებულია პროფესიულ სტუდენტთა პლატფორმა „ჩემი UGcollege“ (ვრცლად იხ. დანართი №7). სტუდენტურ საქმეთა ცენტრის წარმომადგენლის თქმით, მას შემდეგ რაც პროფესიული სტუდენტები გაივლიან რეგისტრაციას, მათ ავტომატურად მისდით შესყობინებები ცენტრის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ, სადაც მათი სურვილის მიხედვით უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა. პროფესიულ სტუდენტთა ინიციატიების მხარდაჭერისათვის კოლჯსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილია წელიწადში 10 000 ლარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ბიუჯეტის რაოდენობის გაზრდა. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია სტუდენტურ საქმეთა ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში (იხ. დანართი №8).

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროფესიული სტუდენტებისათვის არაფორმალურ აქტივობებს კოლეჯი საკუთარი ბიუჯეტითაც ახორციელებს, მაგალითის სახით დასახელებულია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ვიზიტი კახეთში, რომელიც ამავდროულად ატარებდა შემეცნებით ხასიათს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთა ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს ფაქტი, რომ საქართველოს უნივერსიტეტიდან იღებენ შემოთავაზებებს სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვასთან დაკავშირებით, თუმცა მათ საანგარიშო პერიოდში ჩართვის სურვილი არ გამოუთქვამთ. რაც შეეეხება დასახელებულ ღონისძიებას, რომელიც გაიმართა კახეთში, კურსდამთავრებულებმა და სწავლების მეორე წლის პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს მონაწილეობა და გამოხატეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კმაყოფილება. მათ ასევე ისაუბრეს საკუთარი ინიციატივების მხარდაჭერის შესაძლებლობებზე და აღნიშნეს, რომ გამოთქვეს სურვილი ესწავლათ სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის სასწავლო კურსები და კოლეჯმა უზრუნველყო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რის საფუძველზეც გაზრდილია მათი დასაქმების შესაძლებლობები, ხოლო ერთ-ერთმა პრფესიულ სტუდენტმა, რომელიც უკვე დასაქმებული იყო ისაუბრა ამ მიმართულებით კოლეჯის ხელშემწყობ ღონისძიებებზე. მათ შორის პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს კოლეჯის ვებგვერდზე, რომელიც მათი ჩართულობით შეიქმნა. აღნიშნული აღწერილია კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის 2020 წლის სამუშაოს შესრულების ანგარიშში (იხ. დანართი №9).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის კითხვარები, თუმცა გამოკითხვა და მათი ანალიზი დაგეგმილია 2022 წლის იანვარსა და თებერვლის თვეში. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა (იხ. დანართი №3, აქტივობა №2).

კოლეჯში ფუნქციონირებს ე.წ. „ანონიმური ყუთი“, რისი გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი აზრი, სურვილები და სხვა, თუმცა კოლეჯში არ არის გაწერილი ყუთის გამოყენების ინსტრუქცია, ყუთის გახსნის პერიოდები, პასუხისმგებელი პირები, სტუდენტებთან უკუკავშირის მექანიზმები და სხვა. კოლეჯში ანონიმური ყუთის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის ტერიტორიის დათვალიერებით.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთვრებულებმა აღნიშნეს, რომ იმდენად ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ კოლეჯის პერსონალთან და დირექტორთან, ანონიმურ გამოკითხვებს არ საჭიროებენ, მათ სურვილებსა საჭიროებს კოლეჯის პერსონალი პერმანენტულად ეცნობა და მხარს უჭერს. ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთხოვა მაგალითის სახით დაესახელებინათ რამდენიმე მათგანი, პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს კოლეჯში არსებული ცხელი ხაზის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ინსტრუმენტი - პროფესიულ სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვები და მათი ანალიზი ჯერ არ განუხორციელებია და დაგეგმილი აქვს 2022 წლის იანვარსა და თებერვლის თვეში, ამასთან რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ანონიმური ყუთით“ სარგებლობის ინსტრუქცია, განსაზღვროს ყუთის გახსნის ვადები, პასუხისმგებელი პირები, პროფესიულ სტუდენტებთან უკუკავშირის მექანიზმები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“;
3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
5. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 ლის 20 დეკემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები“.
6. ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UGcollege“;
7. კოლეჯსა და საქართველოს უნივერისტეტს შორის 2019 წლის 01 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი;
8. უნივერისტეტის სტუდენტურ საქმეთა დებულება;
9. სტუდენტურ საქმეთა ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში;
10. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
11. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის 2020 წლის სამუშაოს შესრულების ანგარიში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯსა და საქართველოს უნივერისტეტს შორის 2019 წლის 01 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის (იხ. დანართი №6) მიხედვით საქართველოს უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

- კოლეჯის სტუდენტებისათვის კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: ტრენინგების ჩატარება, დასაქმების ფორუმებზე პროფესიული სტუდენტების დასწრების ხელმისაწვდომობა;
- კოლეჯის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან აქტიური კომუნიკაცია, მათ შორის დასაქმების მიმართულებით, რელევანტური ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით და სხვა.
- კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა საქართველოს უნივერსიტეტის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის წარმომადგენელს, რომელმაც ისაუბრა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებზე, რომლებიც ამავდროულად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. აღნიშნული სერვისით სარგებლობა ერთნაირად ხელმისაწვდომია იმ პირებისათვის, ვინც რეგისტრირებულია „ჩემი UG“ პლატფორმაში. აღნიშნულის დასტურად კოლეჯმა წარმოადგინა „UG კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის“ ანგარიში (იხ. დანართი № 10).

პოტენციური პროფესიული სტუდენტებისათვის კარიერული მხარდაჭერისა და პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით კოლეჯი პერმანენტულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს რეგიონებში (იხ. დანართი №9).

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს საქართველოს უნივერსიტეტის კარიერული მხარდაჭერის ცენტრის ცალკეულ აქტივობებში - ტრენინგებში მონაწილეობა, ცენტრიდან პერმანენტულად ვაკანსიების მიღება. ამასთან აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი, მათ შორის კოლეჯის დირექტორიც პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია:
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ;
- კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარიერული მხარდაჭერის ცენტრის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურებს საქართველოს უნივვერსიტეტის კარიერული მხარდაჭერის ცენტრის ცალკეულ აქტივობებში - ტრენინგებში მონაწილეობა, ცენტრიდან პერმანენტულად ვაკანსიების მიღება. ამასთან აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი, მათ შორის კოლეჯის დირექტორიც პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. ვინაიდან კოლეჯის პირველ კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიანიჭა 2021 წლის ნოემბერში, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევა არ განუხორციელებია. აღნიშნული პროცესი დარეგულირებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“. რომლის მიხედვითაც კოლეჯი კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას განახორციელებს კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ. თუმცა. კოლეჯი ფლობს ინფორმაციას მათი კურსდამთავრებულთა შესახებ, კერძოდ: კოლეჯს საანგარიშო პერიოდში ჰყავს 4 პროფესიული სტუდენტი, მათგან 2 დასაქმების პერსპექტივით სტაჟირებას გადის საქართველოს უნივერსიტეტში. ერთი კურსდამთავრებული გაწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ხოლო ერთი საანგარიშო პერიოდში გადის მკურნალობის კურსს.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა 2 კურსდამთავრებულს, რომლებიც პროფესიით გადიან სტაჟირებას საქართველოს უნივერსიტეტში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4. ვინაიდან კოლეჯის პირველ კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიანიჭა 2021 წლის ნოემბერში, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისად უკუკავშირის მიღებისა და პროცესების ხარისხის გაუმჯობესების ფაქტი არ დამდგარა.

კოლეჯის საგანმანათლებლო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფისათვის კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება დარეგულირებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“. რომლის მიხედვითაც კოლეჯი კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას განახორციელებს კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 ლის 20 დეკემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები“;
2. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
3. ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UGcollege“;
4. კოლეჯსა და საქართველოს უნივერისტეტს შორის 2019 წლის 01 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი;
5. უნივერისტეტის სტუდენტურ საქმეთა დებულება;
6. სტუდენტურ საქმეთა ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში;
7. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
8. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის 2020 წლის სამუშაოს შესრულების ანგარიში;
9. „UG კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის“ ანგარიში.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მართვის კოლეგიური ორგანოებია: დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და აკადემიური საბჭო. კოლეჯის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას კოლეჯის წესდებისა და დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს დირექტორი. კოლეჯის დირექტორს ჰყავს მოადგილე. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებია: IT სამსახური, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, იურიდიული სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ლოჯისტიკის სამსახური, დასუფთავების სამსახური, საფინანსო სამსახური, ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. კოლეჯს ჰყავს ასევე ექიმი, პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

კოლეჯის პერსონალის შემადგენლობა დაკომპლექტებულია ზემოაღნიშნული სტუქტურული ერთეულების შესაბამისად, გარდა IT, დაცვისა და ლოჯისტიკის სამსახურისა. აღნიშნული სამსახურებისათვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისათვის კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას კოლეჯს გაუწიოს უწყვეტი და კვალიფიციური დახმარება. ვრცლად აღნიშნული პროცედურების მართვის შედეგები იხილეთ მე-5 სტანდარტის აღწერით ნაწილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ შიდა მარეგულირებელ აქტში - „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. დოკუმენტში გაწერილია კოლეგიალური ორგანოს შემადგენლობა და უფლებამოსილებანი, კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების პერსონალის ანგარიშვალდებულება, მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კვალიფიკაცია/ცოდნა/უნარები), სამუშაო პირობები და სამუშაოს ხანგრძლივობა. თუმცა, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები საჭიროებს რედაქტირებას და პროფესიული განათლების სპეციფიკასთან ადაპტირებას, რადგან ზოგიერთი მათგანის შესრულება პროფესიული განათლების მიზნებისათვის შეუძლებელია, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ისეთი ფუნქციები, როგორიცაა:

- შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის / მისი ცალკეული კომპონენტის სტანდარტს;
- შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სტანდარტს;
- შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდების და ფორმების სტანდარტს;
- შეიმუშავებს სასწავლო მოდულის სილაბუსის სტანდარტს;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის კოლეჯის დოკუმენტაციის მოწესრიგება;

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, რომელმაც განაცხადა, რომ კოლეჯის პერსონალი წარმოადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მათ გარკვეული პერიოდი დასჭირდათ პროფესიული განათლების პრინციპებთან ადაპტირებისათვის, მოცემული ჩანაწერიც ამას ადასტურებს, არის ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობა და კოლეჯი განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს. ამასთან, კოლეჯმა მიმდინარე წლის ნოემბერში აიყვანა სერტიფიცირებული ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და წარმოდგენილია ხარიხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა, რომელიც ამავდროულად მოიცავს შიდა მარეგულლირებელი აქტების რევიზიას.

კოლეჯის პერსონალისათვის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო პირობების შესახებ ინფორმაციის გაცნობის ფაქტი დასტურდება პერსონალის ხელმოწერილი დოკუმენტებით, რომელიც გაწერილია ინდივიდუალურად ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტიდან ამონარიდის სახით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და მოვიდეს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან.

2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტის - „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ მიხედვით, პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი პროცესების განხორციელებას, ხოლო ცალკეული დამხმარე პროცესების ადმინისტრირებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტის - „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ მიხედვით, პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები გამორიცხავს კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი არ დადასტურებულა, თუმცა, კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ხარისხის მართვის სამსახური, რა დროსაც კოლეჯს სიფრთხილე მართებს არ მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ჩართვა იმ პროცესებში, რომლის მონიტორინგი და შეფასება მისი ძირითადი მოვალეობაა.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“. დოკუმეტში გაწერილი აქტივობები შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებთან და ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი და დამხმარე ისეთი პროცედურების ხარისხის გაუმჯობესებას, როგორიცაა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება, პროფესიული სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა, შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
რეკომენდაციების შემუშავება და პროცესის განვითარების ხელშეწყობა, ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელება და სხვა. (იხ. დანართი №11.)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ერთეულად/პირად სასურველია განისაზღვროს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტი - „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
2. კოლეჯის სტრუქტურა;
3. კოლეჯის პერსონალისათვის ფუნქცია-მოვლეობების გაცნობის დოკუმენტები;
4. პარტნიორთა კრების 2020 წლის 10 ივნისის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის სტრატეგიული გეგმა;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის №20/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022წწ);“
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“.
7. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერიურების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკით“** (რომელიც განახლებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის N 05/21 და 2021 წლის 3 სექტემბრის 13/21 საოქმო გადაწყვეტილებებით) და კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის „**შინაგანაწესით**“ (რომელიც ასევე განახლებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის N 05/21 და 2021 წლის 10 სექტემბრის N 14/21 საოქმო გადაწყვეტილებებით).

პერსონალის მართვის პოლიტიკა აყალიბებს კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. განსაზღვრულია კოლეჯის დასაქმების პოლიტიკის ძირითადი პრინციპებები, რომელიც თავსებადია კოლეჯის მიერ აღიარებულ ღირებულებებთან. კოლეჯში პერსონალის მართვის ორგანიზაციულ მხარდაჭერას ახორციელებს კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპით საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების დაცვით. ხოლო ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლოა განხორციელდეს როგორც კონკურსის საფუძველზე, ასევე მის გარეშე. პერსონალის მართვის პოლიტიკის 9-13 მუხლები არეგულიებს პერსონალის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურის საქმისწარმოებას. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა პერსონალის შემადგენლობის დაგეგმვის, მოზიდვის, შერჩევისა და თანამდებობებზე დანიშვნის დოკუმენტაცია, კერძოდ წარმოდგენილია:
- კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2019 წლის 01 აპრილის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, ადმინისტრაციულ პოზიციაზე და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის №01/1/19 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ. კონკურსის გამოცხადების ბრძანებით განსაზღვრულია საკონკურსო პოზიციები, საშტატო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ერთეულები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა და ვადები, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების პასუხისმგებლობა და სხვ;

- კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2020 წლის 25 სექტემბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პრფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №12/20 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ. კონკურსის გამოცხადების ბრძანებით განსაზღვრულია საკონკურსო პოზიციების, საშტატო ერთეულები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა და ვადები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა, გადაწყვეტილების გასაჩივრების პერიოდი, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების პასუხისმგებლობა და სხვ;
- კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2020 წლის 20 დეკემბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №19/20 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ. კონკურსის გამოცხადების ბრძანებით განსაზღვრულია საკონკურსო პოზიციების, საშტატო ერთეულები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა და ვადები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა, გადაწყვეტილების გასაჩივრების პერიოდი, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების პასუხისმგებლობა და სხვ;
- კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2020 წლის 25 სექტემბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №12/20 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ. კონკურსის გამოცხადების ბრძანებით განსაზღვრულია საკონკურსო პოზიციების, საშტატო ერთეულები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა და ვადები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა, გადაწყვეტილების გასაჩივრების პერიოდი, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების პასუხისმგებლობა და სხვ;
- კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2021 წლის 01 ოქტომბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პრფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის №25/21 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ. კონკურსის გამოცხადების ბრძანებით განსაზღვრულია საკონკურსო პოზიციების, საშტატო ერთეულები, წარმოსადგენი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
დოკუმენტაცია, დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა და ვადები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა, გადაწყვეტილების გასაჩივრების პერიოდი, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების პასუხისმგებლობა და სხვ;

კონკურსის შედეგად ან პირდაპირი დანიშვნის გზით შერჩეულ პერსონლთან კოლეჯის დირექტორს გაფორმებული აქვს შრომით ხელშეკრულებები კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელების (მონიტორინგს დაქვემდებარებული პროგრამების ფარგლებში) პირადი საქმეები.

კოლეჯში ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით, თანამშრომლის მიერ კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ახორციელებს პერსონალის მხარდაჭერის ღონისძიებებს, ვრცლად იხილეთ 4.2.1 ინდიკატორის აღწერა. აღნიშნული ფაქტის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონლს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთაც დაადასტურეს სამსახურში მიღებისას კოლეჯის მიერ განხორციელებული მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, შვებულების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, კმაყოფილების კვლევისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი არეგულირებს კოლეჯის პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული კოლეჯის მიდგომები, სამუშაო დრო და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები, არასამუშაო საათებში პერსონალის კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნის პირობები, შვებულება და უქმე დღეები, მივლინებები, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური მექანიზმების გამოყენების წესები, შრომის უსაფრთხოების, საქმიანობის შეფასებისა და სხვა საკითხები. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კოლეჯის შინაგანაწესი არის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და პერსონალი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს კოლეჯის შინაგანაწესს.

პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით, კოლეჯი დასაქმებულს აძლევს დამატებით დასვენების შესაძლებლობას, თუმცა ცალსახად არ ჩანს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობები, მათ შორის დასვენების დღეების ან საათების რაოდენობა.

კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს მათი დატვირთვის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, სადაც განსაზღვრული იქნება მოდულში მითითებული საკონტაქტო საათების გარდა, დამატებითი სამუშაოს დატვირთვის ოდენობა. ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესეულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები.

2. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკით“** და კოლეჯში თანამდებობების დაკავება შესაძლებელია როგორც კონკურსის, ისე მის გარეშე.

კონკურსის შედეგად ან პირდაპირი დანიშვნის გზით შერჩეულ პერსონლთან კოლეჯის დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელების (მონიტორინგს დაქვემდებარებული პროგრამების ფარგლებში) პირადი საქმეები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით განსაზღვრულ არსებით პირობებს, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს პერსონალის შრომის ანაზღაურებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ადმინისტრირების საკითხები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია ხელზე ასაღები ოდენობით და არ არის მითითებული ვინ ახორციელებს სახელფასო განაცემთან დაკავშირებული გადასახდელების ადმინისტრიებას სახელმწიფო ბიუჯეტში.

პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება პერსონალის კვალიფიციურობა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან იტერვიურებისას დაგეგნდა, რომ კოლეჯის დასაქმების პოლიტიკა ორიენტირებულია ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრონციპების დაცვით მაღალი კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა მაღალი კომპეტენცია, როგორც პროფესიაში, ისე სწავლებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაში. ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის შრომის ანაზღაურებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ადმინისტრების საკითხები.

3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია შიდა მარეგულირებელი აქტი - „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა პირადი საქმეები. პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა-უნარები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ თითოეული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და სრულფასოვნად უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვას. თუმცა, ცალკეული პერსონალის პირად საქმეში ინახებოდა პირადობის მოწმობების ასლები, რომელთაც გასული ჰქონდათ მოქმედების ვადა, ხოლო პერსონალის პირად საქმეში არ ინახება პერსონალის მიერ კვლიფიკაციის ამაღლების დოკუმენტები, მათ შორის კოლეჯის ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგების მტკიცებულებები. რისთვისაც რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

4. კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაზეც მოწმობს შემდეგი გარემობები:

- კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები;
- კოლეჯის მმართველობითი ორგანოები არის კოლეგიალური ორგანოები და გადაწყვეტილებების მიიღება არ ხდება ერთპიროვნულად;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმების დამატების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკა“**;
2. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის „**შინაგანაწესი**“;
3. კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2019 წლის 01 აპრილის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, ადმინისტრაციულ პოზიციაზე და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის №01/1/19 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ;
5. კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2020 წლის 25 სექტემბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პრფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ;
6. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №12/20 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ;
7. კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2020 წლის 20 დეკემბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პრფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №19/20 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ;
9. კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2020 წლის 25 სექტემბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პრფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ;
10. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №12/20 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ;
11. კოლეჯის კანცელარიისა და ადამიანური რესუსების მართვის მენეჯერის 2021 წლის 01 ოქტომბრის მიმართვა კოლეჯის დირექტორისადმი, პრფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ;
12. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის №25/21 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ;
13. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია შიდა მარეგულირებელი აქტი - „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
14. კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
15. კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკის“** დოკუმენტით, რომლის 19-22 მუხლებით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასების, კმაყოფილების კვლევისა და პროფესიული განვითარების საკითხები. აღნიშნული მექნიზმები ასევე გაწერილია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის „**შინაგანაწესის**“ 31-ე მუხლით.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შევსებული სქემები, რომლის მიხედვითად შეფასების კომპონენტებად განსაზღვრულია: 1. პროფესიული კვალიფიკაცია; 2. სამუშაოს შესრულების ხარისხი და მოცულობა; 3. პიროვნებათშორისი ურთიერობები; 4. დისციპლინის დაცვა. აღნიშნული კომპონენტები მოიცავს ცალკეულ ინდიკატორებს და ფასდება 1-დან 10 ბალიანი სისტემით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 10 - ყველაზე მაღალი. მოცემული შეფასების შედეგების მიხედვით პერსონალის შეფასების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 9-ს, სადაც ყველაზე დაბალი არის 8.5, ხოლო ყველაზე მაღალი 10. თუმცა კოლეჯს ჯერ არ განუხორციელებია პერსონალის შეფასების ანალიზი, შესაბამისად არაა წარმოდგენილი პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციები, იდენტიფიცირებული კონკრეტული საჭიროებები და სამოქმედო გეგმა.

ამასთან, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტები პერსონალის საქმიანობის შეფასების მიმართულებით, ასევე ითვალისწინებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიაობის შეფასება პროფესიული სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ; ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების მიერ, პერსონალის კმაყოფილების კვლევა და სხვა, რომელიც კოლეჯს ჯერ არ განუხორციელებია და დაგეგმილი აქვს 2022 წლის იანვარსა და თებერვლის თვეში (იხ. დანართი №3, აქტივობა №2)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. კერძოდ, კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალის პერსონალის საქმიანობის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ანალიზისა და საჭიროებათ კვლევის განხორციელებას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში.

2. კოლეჯს საკუთარი შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად არ ჩაუტარებია პერსონალის საჭიროების კვლევა, შესაბამისად ამ გზით არ არის იდენტიფიცირებული საჭიროებები და მათ საფუძველზე არ არის შემუშავებული განვითარების გეგმა. აღნიშნული კოლეჯს დაგეგმილი აქვს 2022 წლის იანვარსა და თებერვლის თვეში (იხ. დანართი №3, აქტივობა №2).

თუმცა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი მათი საჭიროების შესახებ პირდაპირ კომუნიკაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორთან და რომელიც უზრუნველყოფს მათი საჭიროების დაკმაყოფილებას. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განცხადება, რომელიც ითხოვდა პროფესიული გადამზადების ტრენინგ კურსის გავლას IT მიმართულებით და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ზეპირი თხოვნა მედიაციის მიმართულებით ტრენინგ კურსის გავლის თაობაზე. პერსონალის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, 2021 წლის 30 ივლისს გამოცემულია კოლეჯის დირექტორის №20-3/21 ბრძანება თანამშრომელთათვის ტრენინგ კურსების უზრუნველყოფის შესახებ. ბრძანების შინაარსის მიხედვით, კოლეჯმა გამოყო ორივე ტრენინგ კურსის დაფინანსებისათვის 1900 ლარი, რომელიც დაფინანსდა საქართველოს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. აღნიშნული ასევე დადასტურებულია გადამზადებულ პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

კოლეჯის დირექტორთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ მზადაა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება მათი საჭიროების შესაბამისად იმ ოდენობით, რასაც მოითხოვს საჭიროება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. კერძოდ, კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალის პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზისა და საჭიროებათ კვლევის განხორციელებას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

3. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდში არ ეფუძნება მათი საჭიროების კვლევიდან მიღებულ ინფორმაციას, თუმცა ამ მიმართულებით კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიებების საფუძველია:
- ახალი პროფესიული განალების მასწავლებლები;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება;
- კოლეჯის მიერ განხორციელებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა.

ზემოაღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიებებია:
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 დეკემბრის №23/20 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 01 აპრილიდან 2021 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ტრენინგები კოლეჯის დირექტორისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, სულ გადამზადდა კოლეჯის 9 პროფესიული მასწავლებელი;
- 2021 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგი პროფესიულ განათლებაში შეფასების სისტემის შესახებ.

პროფესიული მასწავლებელის განვითარების მიზნით ტრენინგები ასევე დაგეგმილი აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის მიზედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს.

4. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკით“**, რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

კოლეჯში ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით, თანამშრომლის მიერ კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური გადასცემს მას კოლეჯის ონლაინ სისტემის გამოსაყენებელ კოდსა და პაროლს, ასევე დეტალურად განიხილავს მასთან შესასრულებელ სამუშაოს, ხორციელდება ახალი თანამშრომლის მომზადება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
იმ სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც უშუალოდ მის მიერ უნდა შესრულდეს. კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ახდენს ახალი თანამშრომლის წარდგენას კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან (შესაძლებელია მოხდეს როგორც ელექტრონული საშუალებით, ასევე ფიზიკურად); აჩვენებს მისთვის განკუთვნილ სამუშაო ადგილს, უზრუნველყოფს იმ აუცილებელი მატერიალური რესურსის მობილიზებას, რომელიც თანამშრომელს ესაჭიროება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აცნობს ახალ თანამშრომელს კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებს, რომელიც აუცილებელია კორპორატიული პასუხისმგებლობების გაზიარებისა და გათვალისწინებისთვის, ხოლო IT სამსახურის მიერ ხდება კოლეჯის ონლაინ სისტემის ახნა-განმარტება და პერსონალური მეილისა და პაროლის გადაცემა, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

აღნიშნული ფაქტის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონლს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთაც დაადასტურეს სამსახურში მიღებისას კოლეჯის მიერ განხორციელებული მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. დაწესებულებაში პერსონალის ინიციატივების წარდგენისა და დაკმაყოფილების შესაძლებლობები რეგულირდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკით“**, რომლის 22-ე მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ, წარმოადგინონ ინიციატივები სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხზე როგორც ფოკუს-ჯგუფებში, ისე უშუალო ხელმძღვანელთან პირდაპირი კომუნიკაციით“. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განცხადება, რომელიც ითხოვდა პროფესიული გადამზადების ტრენინგ კურსის გავლას IT მიმართულებით და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ზეპირი თხოვნა მედიაციის მიმართულებით ტრენინგ კურსის ავლის თაობაზე. პერსონალის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, 2021 წლის 30 ივლისს გამოცემულია კოლეჯის დირექტორის №20-3/21 ბრძანება თანამშრომელთათვის ტრენინგ კურსების უზრუნველყოფის შესახებ. ბრძანების შინაარსის მიხედვით, კოლეჯმა გამოყო ორივე ტრენინგ კურსის დაფინანსებისათვის 1900 ლარი, რომელიც დაფინანსდა საქართველოს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. აღნიშნული ასევე დადასტურებულია გადამზადებულ პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

კოლეჯის დირექტორთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ მზადაა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება მათი საჭიროების შესაბამისად იმ ოდენობით, რასაც მოითხოვს საჭიროება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„პერსონალის მართვის პოლიტიკა“**;
2. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის „**შინაგანაწესი**“;
3. კოლეჯის დირექტორის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შევსებული სქემები;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 30 ივლისის №20-3/21 ბრძანება თანამშრომელთათვის ტრენინგ კურსების უზრუნველყოფის შესახებ;
5. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 დეკემბრის №23/20 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 01 აპრილიდან 2021 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით განხორციელებული პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ტრენინგების ანგარიში;
6. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა;
7. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
8. კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

9. კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში ფლობს ფართს მესამე და მეოთხე სართულზე, კერძოდ:
- საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 1 აპრილს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების მიხედვით, ქვემოიჯარე დროებით სარგებლობაში გადასცემს ქვემეიჯარეს ფართს, შენობა-ნაგებობის მე-4 სართულზე 556,31 კვ.მ, ოდენობით, სარგებლობის ვადა განსაზღვრულია 01.01.2030 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;
- საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 25 თებერვალს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების მიხედვით, ქვემოიჯარე დროებით სარგებობაში გადასცემს ქვემეიჯარეს ფართს, შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე 252 კვ.მ, ოდენობით, სარგებლობის ვადა განსაზღვრულია 01.03.2027 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;
- საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 12 მარტს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების მიხედვით, ქვემოიჯარე დროებით სარგებობაში გადასცემს ქვემეიჯარეს ფართს, შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე 128,5 კვ.მ, ოდენობით, სარგებლობის ვადა განსაზღვრულია 01.04.2027 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;
- საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 15 მარტს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების მიხედვით, ქვემოიჯარე დროებით სარგებობაში გადასცემს ქვემეიჯარეს ფართს, შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე 62 კვ.მ, ოდენობით, სარგებლობის ვადა განსაზღვრულია 01.04.2027 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. საიჯარო ხელშეკრულებები წარმოდგენილია წინამდებარე დასკვის დანართი №12-ის, ხოლო საჯარო სეესტრიდან ამონაწერი - დანართი №13-ის სახით.

მთლიანობაში კოლეჯი ფლობს შენობის მესამე სართულზე 384.77 კვ.მ და მეოთხე სართულზე 516.73 კვ.მ ფართს. ფართის აზომვითი ნახაზები იხილეთ დანართი №14-ის სახით. ვინაიდან კოლეჯს ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2025 წლის 02 ოქტომბრამდე, ზემოაღნიშნულის ფართის ფლობა დასტურდება არანაკლებ ავტორიზაციის ვადით.

აღსანიშნავია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის N639622 ბრძანების საფუძველზე, კოლეჯში განხორციელდა ფართის ცვლილებასთან დაკავშირებული წარმოება, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ქ. თბილისში, ჯანო ბაგრატიონის 6 ნომერში არსებულ შენობაში კოლეჯის მარლთზომიერ სარგებლობაში არსებული ფართი შენობის მე-4 სართულზე (556,31 კვ.მ). აღნიშნულ სართულზე კეთილმოწყობილია A, B, C, BC სასწავლო გარემოები, მასწავლებელთა სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს სივრცე, სტუდენტთა გასართობი სივრცე, სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
წერტილები და სხვა. წინამდებარე მონიტორინგის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ზემოაღნიშნულ მისამართზე შენობის მესამე სართულზე არსებული ფართის (384,77კვ.მ) ფლობის დამადასტურებელი ხელშეკრულება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები. აღნიშნულ სართულზე სასწავლო/ადმინისტრაციული ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, სადაც განთავსებულია სამედიცნო სივრცე, A სასწავლო გარემოს აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი. დაწესებულების ორივე სართულის ფართზე შესწავლილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა და წარმოდგენილია შესაბამისი მიწერილობა. შენობის უსაფრთხოების დაცვის მიზნებისათვის, ასევე წარმოდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის თაობაზე.

კოლეჯსა და საქართველო უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 2 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტი განუსაზღვრელი ვადით იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინვენტარით, ამასთან განახორციელოს მატერიალური რესურსების შეფასება, განახლება და შეკეთება. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2021 წლის 11 იანვარს გაფორმებულია შეთანხმება მატერიალური რესურების გადაცემის შესახებ და წარმოდგენილია 2021 წლის 13 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი მატერიალური რესურსის ჩაბარების შესახებ. იხ. დანართი №15. აგრეთვე წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ მოცემული რესურსის შესყიდვის დოკუმენტები. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციისა და ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებით დასრურდება კოლეჯის სრულფასოვანი ფუნქციებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა სულ მცირე ავტორიზაციის ვადით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში შემდეგი სივრცეების ფლობა:

- 2 ფოიე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე (ორივე სართულზე).
- თეორიული სწავლების აუდიტორიები (A გარემო) (ორივე სართულზე);
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო) (მეოთხე სართულზე);
- ადმინისტრაციული სივრცე (ორივე სართულზე);
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის (მეოთხე სართულზე);
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები (მეოთხე სართულზე);
- ბიბლიოთეკა (მესამე სართულზე);
- სამედიცინო კაბინეტი (მესამე სართულზე);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის (ორივე სართულზე).
- სივრცე არქივისთვის (მესმე სართულზე).
- ასევე გამოყოფილია ინდივიდუალური სველი წერტილები როგორც ქალებისთვის ისე მამაკაცებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N15/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“. დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განახლების პროცედურები და პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებელთა მიერ ამ რესურსით სარგებლობის უფლებები. კოლეჯი არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს ისარგებლონ კოლეჯის მატერიალური რესურსით, თუ ის დაკავშირებულია საგანმანათლებლო/შემეცნებით საქმიანობასთან.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის №02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“. დოკუმენტში განსაზღვრულია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავების წესი და პერიოდულობა. კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების სწორად და სრულყოფილად შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია ლოჯისტიკის სამსახური. კოლეჯში რეგულარულად (ყოველდღიურ რეჟიმში) ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. მყარი ნარჩენების გატანა და მოთავსება ხდება ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომლებიც მოთავსებულია შესაბამის დისტანციაზე. ნარჩენების გატანის სიხშირე - ხორციელდება კონტეინერის გავსებისთნავე, ყოველდღიურად. კოლეჯში განთავსებულია ნარჩენებისთვის განკუთვნილი უკონტაქტო, დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილია ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების გატანას ახორციელებს დასუფთავსების თანამშრომელი, ერთჯერადი ხელთათმანის გამოყენებით. დაწესებულებას დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 8 იანვარს მემორანდუმი გაფორმებული აქვს საქართველოს უნივერსიტეტთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების განრიგი, სადაც განსაზღვრულია სივრცეების დასუფთავების განრიგი და დასტურდება აღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელი პირის ხელმოწერით. აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დასუფთავსების პერიოდულობასთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ზემოაღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღწერა საკუთარი სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები და ფუნქცია-მოვალეობები.

კოლეჯში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი შენობის ორივე სართულზე აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება განსაზღვრულია 2020 წლის 8 იანვარს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის №02/20 წლის საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი წესი. დოკუმენტში PDCA პრინციპის გამოყენებით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც გულისხმობს პოლიტიკის დაგეგმვას, რისკების ანალიზსა და გეგმის შემუშავებას, აქტივობათა შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვებას, შეფასებასა და პროცესის განვითარებას. განსაზღვრულია პერსონალის ვალდებულებები, წარმოდგენილია რისკების შეფასების დოკუმენტი, ინსტრუქტაჟების ჩატარების აღრიცხვის ფორმები, სხვადასხვა მონაცემების აღრიცხვის ჟურნალის ფორმები და სხვა. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და მექანიზმები შესაბამისობაშია შრომის უსაფთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით მოცემული კატეგორიის დაწესებულებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს შრომის უსაფრთოების სპეციალისტი, რომელსაც შრომის უსაფთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა და აქვს უფლება 2022 წლის ჩათვლით განახორციელოს შრომის უსაფრთხოების სფეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელმაც დეტალურად აღწერა მისი ფუნქცია-მოვალეობები, პერსონალის ინსტრუქტაჟთან დაკავშირებული ღონისძიებები და წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო, საგანგებო სიტუაციების მართვისა და პირველადი უსაფრთხო შრომის პირობების თაობაზე კოლეჯის პერსონალისათვის ჩატარებული ინსტრუქტაჟების მტკიცებულებები, რომელიც ხელმოწერილია პერსონალის მიერ. აღნიშნული ასევე დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას. კოლეჯი აღნიშნულ ინსტრუქტაჟს უტარებს ყოველ ახალ პერსონალს, სამსახურში მიღებისთანავე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N15/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი.“ რის მიხედვითად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებაში არსებობს შეკვეთის ფორმა, რომელიც ივსება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ და გადაეცემა ლოჯისტიკის/საფინანსო სამსახურს იმისათვის, რომ მოხდეს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელება. მოდულის დაწყების წინ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, განმახორციელებელი პირებისაგან იღებს ინფორმაციას თუ რა საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მიღებული ინფორმაციის შედეგად ადგენს მიმართვის ფორმას ლოჯისტიკის/საფინანსო სამსახურისათვის. შეძენილი მასალა და ნედლეული გადაეცემა პროგრამის განმახორციელებელ პირებს.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა ხდება შემდეგნაირად: მყარი ნარჩენების გატანა და მოთავსება ხდება ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომლებიც მოთავსებულია შესაბამის დისტანციაზე. ნარჩენების გატანის სიხშირე - ხორციელდება კონტეინერის გავსებისთნავე, ყოველდღიურად. კოლეჯში განთავსებულია ნარჩენებისთვის განკუთვნილი უკონტაქტო, დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილია ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების გატანას ახორციელებს მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და მიწოდების მტკიცებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს კოლეჯის რესურსების შეფასებას საამისოდ შემუშავებული რესურსების შეფასების ფორმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

კოლეჯის პროგრამის განმახოცრიელებელ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულება მათ საჭიროებათა დადგენას და სასწავლო პროცესის შეუფერხებელ უზრუნველყოფას, მათ შორის მასალა-ნედლეულით, ახორციელებს მათტან ინტერვიურების გზით, ვინაიდან კოლეჯს ჰყავს მცირე რაოდენობით სტუდენტები და პერსონალი, მათი საჭიროების კვლევის ფორმალური მექანიზმები ჯერ არ გამოუყენებია და ეს აქტივობა დაგეგმილი აქვს 2022 წლის იანვარსა და თებერვლის თვეში (იხ. დანართი №3, შესაბამისობის გეგმა, აქტივობა №2).

კოლეჯის მატერიალური რესურსების შეფასების ვალდებულება ასევე გათვალისწინებულია კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 2 თებერვალს გაფორმებული მემორნადუმის საფუძველზე. პერსონალთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ დაწესებულების რესურსები ახალი განახლებულია, დიდი ნაწილი აუთვისებელია და საკმარისობის ან სხვა კომპონენტში შეფასების საჭიროება არ დამდგარა.

დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზიუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისზე მეტი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა კოლეჯს აღნიშნული აქტივობა ჯერ არ განუხორციელებია. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებათა კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

8. დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

კოლეჯს არ ჰყოლია შშმ სტუდენტები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, კოლეჯში ხელმისაწვდომია შესაბამისი პირობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. კოლეჯის ტერიტორიაზე სივრცეები იმგვარადაა განაწილებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, ოთახები არაა ერთმანეთში გამავალი და იძლევა საშუალებას შეიქმნას დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეები.

კოლეჯის ტერიტორიაზე გამოყოფილია რეკრეაციული და შემოქმედებითი სივრცეები სტუდენტებისათვის;

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭუვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“. დოკუმენტში განსაზღვრულია საბიბლიოთეკო საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ბიბლიოთეკის რესურსი, ბიბლიოთეკის მომხმარებელი, ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, ბიბლიოთეკის რესურსის მოძიება/შეკვეთა და გატანის წესი, ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, კომპიუტერული რესურსცენტრით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი დაცულია ელექტრონული სახით, რომელიც პროფესიული სტუდენტებისათვის ამავდროუად ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელ.პლატფორმაზე „ჩემი UGcollege“. ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კოლეჯს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით.

საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის შესაძლებლობას. ამასთან, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს დამატებით საბიბლიოთეკო სერვისებს პარტნიორი დაწესებულების - საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით ან ელექტროულ ბაზებით სარგებლობის გზით.

კოლეჯში არ ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია ბიბლიოთეკის მკითხველად, ბიბლიოთეკარი ახორციელებს დღის განმავლობაში მიწოდებული სერვისების აღრიცხვას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ბიბლიოთეკართან ინტერვიურებისას, ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე თუ როგორ ხდება სერვისით მოსარგებლე პირის იდენტიფიცირება, მან განაცხადა რომ ეკითხება სწავლობს თუ არა კოლეჯში.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი ახორციელებს IT მიმართულების პროგრამებს, სადაც სასწავლო რესურსი ძირითად ელექტრონულია და სტუდენტებს ისედაც აქვთ შეუზღუდავი წვდომა, სხვა პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, რეკომენდებულია ბიბლიოთეკაში განხორციელდეს მკითხველთა რეგისტრაცია, რაოდენობრივი და თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით საბიბლიოთეკო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მკითხველებისათვის კურიკულუმს გარეშე ლიტერატურის შეთავაზების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია ბიბლიოთეკაში განხორციელდეს მკითხველთა რეგისტრაცია, რაოდენობრივი და თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით საბიბლიოთეკო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მკითხველებისათვის კურიკულუმს გარეშე ლიტერატურის/სერვისის შეთავაზების გზით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 1 აპრილს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება;
2. საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 25 თებერვალს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება;
3. საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 12 მარტს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება;
4. საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 15 მარტს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება;
5. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართის აზომვითი ნახაზები;
6. კოლეჯსა და საქართველო უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 2 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმი;
7. კოლეჯსა და საქართველო უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 8 იანვარს გაფორმებული მემორანდუმი;
8. უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2021 წლის 11 იანვარს გაფორმებულია შეთანხმება მატერიალური რესურების გადაცემის შესახებ;
9. უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2021 წლის 13 იანვარს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი მატერიალური რესურების გადაცემის შესახებ;
10. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N15/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
11. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის №02/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“;
12. სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების განრიგი;
13. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის №02/20 წლის საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

14. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N15/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველჰყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი“;
15. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
16. კოლეჯის დირექტორის N 1/19 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“;
17. სასწავლო პროცესის მართვის ელ.პლატფორმაზე „ჩემი UGcollege“;
18. საბიბლიოთეკო რესურსის საინვენტარო წიგნი;
19. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
20. კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და ბიბლიოთეკარის პირადი საქმეები;
21. კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა №341 (03.12.2021, MIA 9 21 03174295). კოლეჯის მიერ სახანძრო უსაფრთხოებათა აღმოფხვრის მიზნით უფლებამოსილ ორგანოს განსაზღვრული აქვს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლის მიხედვითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
კოლეჯი ვალდებულია შესაბამის ვადებში, თუმცა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ნოემბრისა უზრუნველყოს იდენტიფიცირებული აქტივობების შესრულება (იხ. დანართი №17).

კოლეჯმა წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებული, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე.

2. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. კოლეჯს ჰყავს შესაბამის კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც უზრუნვლყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის ტერიტორიაზე.

კოლეჯში მოქმედებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- დროულად მოუხმოს ექიმს;
- შეატყობინოს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელს;
- არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა;
- აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება;
- აუცილებელობის შემთხვევაში გამოიძახოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

კოლეჯის მთელს ტერიტორიაზე თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კოლეჯის პერსონალი გადამზადებულია პირველად სამედიცინო დახმარებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,

3. კოლეჯმა წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის №07/20 საოქმო გადაწყვეტილებით, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებ სიატუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე გაგზავნილი №03/1975 წერილი. წერილის შინაარსის მიხედვით, საქართველოს უნივერსიტეტი ითხოვს მისი შვილობილი ორგანიზაციის - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმის განხილვასა და შეთანხმებას, რის საფუძველზე მოთხოვნილია შესაბამისი დასკვნის ან რეკომენდაციების გაცემა. თუმცა, საანგარიშო პერიოდში საპასუხო კორესპოდენცია არ მიღებულა. ვრცლად იხილეთ დანართი №16. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 7 თებერვლის MES 4 22 0000115288 კორესპოდენციით ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე, რის მიხედვითაც დაწესებულება ეთანხმება დასკვნაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და იზირება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. ამასთან, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის გაუმჯობესების გეგმა“ (დამტკიცებულია 15 ნოემბრის 19/21 ოქმით აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით, ცვლილება 2022 წლის 28 იანვრის 03/22 აკადემიური საბჭოს ოქმით), რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის საგანგებო სიატუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს უკვე გაგზავნილი იყო კორესპოდენცია კოლეჯის საგანმგებო სიატუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე, რაზეც დაწესებულებას პასუხი არ ჰქონდა მიღებული, აღნიშნული კორესპოდენცია დანართის სახით წარმოდგენილია ექსერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას (იხ. დანართი №16). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს საგანმგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომები შემუშავებულია, თუმცა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მექანიზმები არაა შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით (ცვლილება 2022 წლის 28 იანვრის 03/22 აკადემიური საბჭოს ოქმით) დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა) ითვალისწინებს უფლებამოსილ ორგანოსთან კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას, რომლისთვისაც დათმობილია 3 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის მარტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. დაცვისა და უსაფრთხოების თანამშორმელი უზრუნველყოფს კოლეჯის სტუდენტთა, თანამშრომელთა და სტუმრების უსაფრთხოებას. კოლეჯის ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას. ექიმი უზრუნვლყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის ტერიტორიაზე.

დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია დაათვალიეროს სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები. დაცვისა და უსაფრთოების თანამშრომელი ვალდებულია გააკონტროლოს კოლეჯის შენობაში შემომსვლელი უცხო პირები.

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, ამ მიზნით დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის N 02/20 ოქმით შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს წესრიგის დაცვის მექანიზმებს, შრომის დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯი თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პერსონალისათვის საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობას და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნას, როგორიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარულ ნორმებს და ა.შ.). ამ მიზნით, კოლეჯის დაცვის და უსაფრთხოების მენეჯერი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კომპეტენციის ფარგლებში პერსონალს პერიოდულად უტარებენ ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ და თავად ახორციელებს ყველა მათგანის შესრულებაზე მუდმივ კონტროლს.

შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. დაწესებულებას ასევე საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 2 თებერვალს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტით იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს კოლეჯის მფლობელობაში არსებული ფართის დაცვა თავისი თანამშრომლების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის №07/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგანგებო სიატუაციების სიტუაციების მართვის გეგმა“;
2. საქართველოს უნივერსიტეტის 2021 წლის 3 დეკემბრის №03/1975 წერილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებ სიატუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე;
3. შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესაებ;
4. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა №341 (03.12.2021, MIA 9 21 03174295;
6. საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 2 თებერვალს გაფორმებული აქვს მემორანდუმი;
7. კოლეჯის ექიმის პირადი საქმე;
8. კოლეჯის პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერას უწევს საქართველოს უნივერსიტეტი, რომელთანაც 2020 წლის 2 მარტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. რის მიხედვითაც, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას კოლეჯის ტერიტორიაზე უზრუნველყოს: ა. ინტერნეტის უწყვეტი წვდომა; ბ. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სათანადო პროცედურების გაწერა და აღნიშნულის შესაბამისად კონტროლის განხორციელება; გ. IT უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება და შესაბამისი უსაფრთხოების დაცვა; დ. ინფორმაციული ტექნოლოგიებით უწყვეტი სარგებლობის მიზნით რელევანტური ინფრასტრუქტურის განახლება ან/და შეკეთება; ე. პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის ონლაინ სისტემის ხელმოსაწვდომობა, მისი გამართული მუშაობა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვა. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2021 წლის 11 იანვარს გაფორმებულია შეთანხმება კოლეჯში IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გადაცემის შესახებ და წარმოდგენილია 2021 წლის 13 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი მატერიალური რესურსის ჩაბარების შესახებ. იხ. დანართი №15.
კოლეჯში არსებული IT ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და საქმიანობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

IT ინფორმაციის ტექნოლოგიები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვაის შესაძლებლობას. არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატური.

კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებებთან ინტერვიურების გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯს საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერას უწევს საქართველოს უნივერსიტეტი, რომელთანაც 2020 წლის 2 მარტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. აღნიშნულის საფუძველზე წარმოდგენილია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომლის მიხედვით, საქართველოს უნივერსიტეტი ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვას ახორციელებს უნივერსიტეტის 4 სამსახური, წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით დეტალურადაა განხილული თითოეული სამსახურის მიერ IT მიმართულებით, მათ შორის რისკების მართვასთან დაკავშირებული სამუშაოები იხ. დანართი №18.

დაწესებულების დირექტორთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები პერიოდულად ახორციელებენ კომპიუტერული ტექნიკის შემოწმებას, IT რისკების შეფასებას და გამართულობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განახორციელა კოლეჯის IT ინფრასტრუქტურისა და რისკების შესაფასება და წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა, დასკვნა დადებითია, თუმცა გაცემულია რეკომენდაცია ზოგიერთი კომპიუტერის გამოცვლის, ვინდოუსის გადაყენებისა და რამდენიმე ერთეული კომბაინ პრინტერის დამატების თაობაზე იხ. დანართი №19.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, პერსონალური მონაცემების სახეები, რომელთა დამუშავებასაც ახორციელებს კოლეჯი, მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები და სხვა, რაც შესაბამისობაშია პერსონალურ მონაცმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების თანხმობები კოლეჯის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას, მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვით კოლეჯი ყოველი სასწავლო პროცესის დასრულებისას გეგმავს განახორციელოს არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება, რომლისთვისაც არსებობს შესაბამისი ფორმა, აღნიშნული ფორმის შევსებაზე სასწავლო კუთხით პასუხისმეგებლია ხარისხის სამსახური და IT მენეჯერი, თუ სწავლების პერიოდში სავალდებულო გახდა ინფრასტრუქტურის განახლება, ამის შესახებ დაინტერესებული პირი შესაბამისი შეკვეთის ფორმით გააკეთებს შესაბამის განაცხადს.

ასევე გამოკითხვის საშუალებით სტუდენტსაც და პერსონალსაც ექნებათ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი უკუკავშირი სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შეფასებას. შესაბამისი სამსახურები მიღებული შედეგების შესაბამისად გააკეთებენ ანალიზს და დაგეგმავენ თუ როგორ უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურის განახლება და მისი ეფექტიანად გამოყენება.

თუმცა ზემოაღნული მექანიზმების გამოყენების მტკიცებულება კოლეჯს არ წარმოუდგენია (იხ. დანართი №2, დოკუმენტი №1), ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას კოლეჯის გეგმავს 2022 წლის იანვარსა და თებერვალში იხ. დანართი №3, ჩანაწერი №2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯს დაგეგმილი აქვს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება, კერძოდ კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასებასებათან დაკავშირებით.

5. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N15/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“. დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის მარეტიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განახლების პროცედურები და პროფესიულ სტუდენებისა და მასწავლებელთა მიერ ამ რესურსით სარგებლობის უფლებები. კოლეჯი არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს ისარგებლონ კოლეჯის მატერიალური რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობას, თუ ის დაკავშირებულია საგანმანათლებლო/შემეცნებით საქმიანობასთან.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის, ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად პროფესიულ სტუდეტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის სახით კოლეჯში გამოიყენება:
- ელექტრონული ფოსტა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- სტუდენტთა მხარდაჭერის ციფრული პლატფორმა „ჩემი UGcollege“;
- პერსონალის საკომუნიკაციო პლატფორმა „Online UGCollege; My UG College“;
- სოციალური ქსელი.

პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს გააჩნია საკუთარი შიდა ონლაინ სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის, თითოეულ პერსონალს მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი და პაროლი, რომლის საშუალებითაც ახორციელებენ ავტორიზაციას პროგრამაში, რის შემდეგაც მათ აქვთ წვდომა მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. აღნიშნული სისტემის საშუალებით ხდება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება როგორც პერსონალისათვის, ისე პროფესიული სტუდენტებისათვის. აღნიშნულ სისტემაში შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა ბაზები, ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება პროფესიული სტუდენტების მიღების შემდეგ ახორციელებს მათ ამ ბაზაში რეგისტრაციას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადატურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 2 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმი;
2. „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“;
3. საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა კოლეჯის IT ინფრასტრუქტურისა და რისკების შესაფასების შესახებ;
4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“;
5. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

6. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N15/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
7. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
8. უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2021 წლის 11 იანვარს გაფორმებულია შეთანხმება კოლეჯში IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გადაცემის შესახებ;
9. უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2021 წლის 13 იანვარს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი მატერიალური რესურსის ჩაბარების შესახებ;
10. კოლეჯის ხარისხის მართვის 2021-2022 წლის გეგმა;
11. „აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“;
12. სტუდენტთა მხარდაჭერის ციფრული პლატფორმა „ჩემი UGcollege“;
13. პერსონალის საკომუნიკაციო პლატფორმა „Online UGCollege; My UG College“;
14. კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
15. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიურების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია დოკუმენტების მიღების, გაგზავნის, შემუშავების, დოკუმენტების შესრულების ვადები, მმართველობითი დოკუმენტების შემუშავების, დოკუმენტბრუნვის ორგანიზებისა და მართვის სხვა პროცედურული საკითხები.

კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. კოლეჯის მართვაში, მათ შორის საქმისწარმოებაში გამოიყენება ელექტრონული პლატფორმები - „Online UGCollege“; „My UG College“; „ჩემი UGcollege“. კოლეჯი მოცემულ პლატფორმაზე ატვირთავს მიღებულ კორესპოდენციას და ამ გზით ახორციელებს მათ რეგისტრაციასა და შემსრულებელთათვის მიწოდებას.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მოცემულ პლატფორმაში საქმისწარმოების ფუნქციონირების სანდოობა, თუმცა პლატფორმა იძლევა კორესპოდენციის წაშლის, ძველი თარიღით რეგისტრაციის ან რეგისტრირებული კორესპოდენციის რედაქტირების საშუალებას. რის დასტურად ექსპერტთა ჯგუფის თანდასწრებით კოლეჯის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა თავად დაარეგისტრირა კორესპოდენცია ძველი თარიღით, ხოლო შემდეგ წაშალა. სისტემაში რეგისტრირებული კორესპოდენცია არათანმიმდევრულადაა რეგისტრირებული, კერძოდ №1 კორესპოდენცია რეგისტრირებულია მარტის თვეში, ხოლო №2 კორესპოდენცია იგივე წლის თებერვლის თვეში.

კოლეჯს იდენტიფიცირებული აქვს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა და მისი გამოსწორების მიზნით კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №4 და №5 აქტივობად გაწერილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გაუმჯობესება და დოკუმენტების რეგისტრაციის გასწორება, რომელთა შესრულების ვადა შეადგენს 3 თვეს და სრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 01 მაისისა (იხ. დანართი №3, აქტივობა №4 და №5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების ელექტრონული საქმისწარმოებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების სანდოობას, კოლეჯს დაგეგმილი აქვს არაუგვიანეს 2022 წლის 01 მაისისა. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა), რომლის №4 და №5 აქტივობად გაწერილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გაუმჯობესება და დოკუმენტების რეგისტრაციის გასწორება, რომელთა შესრულების ვადა შეადგენს 3 თვეს და სრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 01 მაისისა.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 სექტებრის №23/21 ბრძანებით განსაზღვრულია რეესტრზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის ვადებს, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად და სრულად შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. კოლეჯში დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს.

კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით ჰყავს კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის N1/19 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
2. შემოსული და გაგზავნილი კორესპოდენცია;
3. ელექტრონული პლატფორმები - „Online UGCollege“; „My UG College“; „ჩემი UGcollege“
4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 სექტებრის №23/21 ბრძანება რეესტრზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
6. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N11/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
7. კოლეჯის ელექტრონული პლატფორმების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
8. კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია https://ugcollege.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/ugcollege, რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; კოლეჯის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის გვერდებზე საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების მიზნით განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია, საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, მთავარი სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია სასწავლო შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების შესახებ. ბოლო სიახლე განთავსებულია 2021 წლის 8 ნოემბერს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყების შესახებ. ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. ვებგვერდზე არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი, კერძოდ კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 6 აგვისტოს გაფორმებულია შეთანხმება, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი კოლეჯს უზრუნველყოფს დომენითა და სერვერზე სივრცით (www.ugcollage.ge), ამავე შეთანხმებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კოლეჯის ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დომენსა და სევრცეს სერვერზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ ქართულენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა დაწესებულების მისიასა და ხედვაში განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. კოლეჯის სამოქმედო გეგმაშიც გაწერილი აქვს აქტივობები საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესახებ, თუმცა საანგარიშო პერიოდში კოლეჯს არ აქვს ინგლისურ ენოვანი ვებგვერდი. კოლეჯმა ბოლო პერიოდში შექმნა ახალი ვებგვერდი და ახლა მუშაობს ინგლისურენოვანი კონტენტის შექმნაზე. რაც გაწერილი აქვს კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა), №3 აქტივობად. კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნის ვადა შეადგენს 2 თვეს და სრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 28 თებერვლისა (იხ. დანართი №3, აქტივობა №3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, გეგმავს ინგლისურ ენოვანი ვებგვერდის ამოქმედებას, კერძოდ კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №3 აქტივობა ითვალისწინებს ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნის ვადა შეადგენს 2 თვეს და სრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 28 თებერვლისა.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

4. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ის განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომია ონალინ სისტემაში, რომელზეც წვდომა გააჩნია ყველას, ვისაც აქვს კოლეჯის მიერ გადაცემული პერსონალური კოდი და პაროლი.

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობა, ხანგძლივობა და შეფასების წესის შესახებ, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას.

კოლეჯის ვებგვერდზე ასევე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019, 2020, 2021 წლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განალებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019, 2020, 2021 წლები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ამის უზრუნველსაყოფად კოლეჯი მიღებულ ინფორმაციას და უკუკავშირს ამუშავებს შესაბამის სამსახურების ჩართულობით, მიღებული ანალიზი გამოყენებულია კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აღნიშნული პროცედურა დეტალურად გაწერილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების წესში, ასევე მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებაში, თუმცა მოცემული აქტივობები ფორმალიზებული არაა და მათი ანგარიშგება ან გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება საანგარიშო პერსიოდში არ განხორციელებულა. აღნიშნული აქტივობა კოლეჯს დაგეგმილი აქვს 2022 წლის იანვარსა და თებერვალში (იხ. დანართი №3, აქტივობა №2)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და შედეგების გამოყენება მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას მათ საჭიროებებზე კოლეჯის უკუკავშირის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებასებათან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი https://ugcollege.ge/;
2. კოლეჯის სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/ugcollege;
3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
4. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება“;
5. კოლეჯის ვებგვერდზე ასევე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019, 2020, 2021 წლები;
6. კოლეჯის ვეგვერდისა და სოციალური ქსელის გვერდების დათვალიერების შედეგები;
7. კოლეჯის პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტის შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის საქმიანობა შესაბამისი ფინანსური რესურსით. კოლეჯის სამოქმედო გეგმაში ცალკეული აქტივობებისათვის განსაზღვრული კონკრეტული თანხა ციფრებში, ხოლო დანარჩენი აქტივობის დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია საქართველოს უნივერსიტეტი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2020 წლის, 2021 წლის ბიუჯეტები და 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტები. კოლეჯის ბიუჯეტებში განსაზღვრული დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საკუთარი და მოზიდული (საქართველოს უნივერსიტეტიდან) ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ბრუნვათა უწყისები 2019, 2020 და 2021 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. კოლეჯის, როგორც მეოთხე კატეგორიის ორგანიზაციას, საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა ვალდებულება ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში, კოლეჯი აღნიშნულს განახორციელებს 2022 წლიდან.

თუმცა საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯის მიერ შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიასთან“ გაფორმებული შეთანხმების დანართი, რომელიც გულისხმობს კოლეჯის ფინანსური აუდიტის განხორციელებას. კოლეჯში ფინანსური აუდიტი ჯერ არ დასრულებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

4. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს, რომლის შედეგების საფუძველზე იგეგმება მომდევნო წლის საპროგნოზო ბიუჯეტები.

კოლეჯის, როგორც მეოთხე კატეგორიის ორგანიზაციას, რომელსაც საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა ვალდებულება ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში, კოლეჯი აღნიშნულს განახორციელებს 2022 წლიდან.

თუმცა საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯის მიერ შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიასთან“ გაფორმებული შეთანხმების დანართი, რომელიც გულისხმობს კოლეჯის ფინანსური აუდიტის განხორციელებას. კოლეჯში ფინანსური აუდიტი ჯერ არ დასრულებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტის შორის გაფორმებული მემორანდუმი;
2. კოლეჯის 2020 წლის, 2021 წლის ბიუჯეტები და 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ბრუნვათა უწყისები 2019, 2020 და 2021 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ;
4. კოლეჯის მიერ შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიასთან“ გაფორმებული შეთანხმების დანართი, კოლეჯში ფინანსური აუდიტის განხორციელების თაობაზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამის დამტკიცება: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 ოქმი პროგრამის ცვლილებები: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები: №03/19 – 19 სექტემბერი, 2019; №01/21 – 1 თებერვალი, 2021; №03/21 – 18 მარტი, 2021; №09/21 – 26 აპრილი, 2021.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	მოდულური - 10 დუალური - 5
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	--
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	--
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	--

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	--	სრული შესაბამისობა
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	--	სრული შესაბამისობა
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	--	მეტწილი შესაბამისობა
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	--	სრული შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 2.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია კოლეჯის მიერ პროგრამის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელებით, ამასთან აღნიშნული პროცესის სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება დამსაქმებელთა მოთხოვნისა და ბაზრის კვლევის საფუძველზე. დირექტორის მოადგილე რეკომენდაციით მიმართავს დაწესებულების დირექტორს მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემუშავებისა და დამატებისა მიზნით და წარუდგენს შრომის ბაზრის კვლევას. აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.“ აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია კოლეჯის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა IT მიმართულებით (კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ვებტექნოლოგიები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **კომპიუტერული ქსელი და სისტემები** შემუშავებულია აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის მიერ ამა თუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ასევე ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ვრცლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პროგრამების მიზანშეწონილობის შესწავლასთან, რაც კოლეჯს დაეხმარება როგორც სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას, ისე არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **კომპიუტერული ქსელები და სისტემების** განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს კვალიფიციული პერსონალი და თანამშრომლობს ბაზარზე წამყვან ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: შპს „სქაი ჰაი“; შპს „მბს“; შპს „გრინ სისტემს“; შპს „აიტიკრაფტი“; შპს „სქაიტელი“; შპს „პისი ქორნერ“; „ორიენტ ლოჯიკი.“

კოლეჯის მისია ზოგადი ხასიათისაა და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კომპიუტერული ქსელები და სისტემების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის მიერ ამა თუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ასევე ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ვრცლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პროგრამების მიზანშეწონილობის შესწავლასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯს დაეხმარება როგორც სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას, ისე არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„კომპიუტერული ქსელის და სისტემები“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „ინფორმაციის ტექნოლოგია“ 06112-3 განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მათ შორის დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №03/21 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესი“, სადაც განსაზღვულია დუალური მიდგომით პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები და დამტკიცებულია კომისიის შემადგენლობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აპლიკანტებთან გასაუბრება. კომისიის შემადგენლობაში კოლეჯის პერსონალის გარდა სავალდებულოდ შედის დარგობრივი ორგანიზაციის (საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაცია) წარმომადგენელი. აღნიშნული პროცედურა ასევე შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბერს გამოიცა №21/21 ბრძანება - „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების კომისიის შემადგენლობისა და თარიღების დადგენის შესახებ“. ბრძანებაში განსაზღვრულია: მოტივაციური გასაუბრების კომისიის შემადგენლობა თითოეული პროგრამისათვის, პროგრამის დასახელებები, აპლიკანტთა რაოდენობები, მისაღებ პროფესიულ სტდენტთა რაოდენობები, გასაუბრების თარიღები და საათი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კომისიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები - გასაუბრების კითხვარები და შეფასებები, ასევე დათვალიერდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა და კომისიის თითოეული წევრის მიერ შეტანილი შეფასებები/შეჯამებული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №26/21 ბრძანება გამოცემულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ. მოტივაციური გასაუბრების შედეგებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა 2020 წელს, რის თაობაზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №08/20 და 2020 წლის 14 ოქტომბრის №15/20 ბრძანებები.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ იყო დიდი, ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს №01/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუანრიანობას, პერსონალის რაოდენობას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დროს გასათვალისიწნებელ გარემოებებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია **კომპიუტერული ქსელი და სისტემების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი. დოკუმენტში დასაბუთებულია 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის კოლეჯის არსებული რესურსის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

4. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით **„კომპიუტერული ქსელის და სისტემები“** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **კომპიუტერული ქსელი და სისტემების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 49 კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 31 კრედიტის ოდენობით და 2 არჩევით მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით. არჩევითი მოდულებია: ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება; IT პროექტების მენეჯმენტი. არჩევითი მოდულები მჭიდრო ლოგიკურ კავშირშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მე-8 მუხლის მიხედვით კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის კოლეჯის აკადემიური საბჭო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 ოქმით, ხოლო პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებით: №03/19 – 19 სექტემბერი, 2019; №01/21 – 1 თებერვალი, 2021; №03/21 – 18 მარტი, 2021; №09/21 – 26 აპრილი, 2021.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** თანხვედრაშია ინფორმაციის ტექნოლოგიის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ ადატვირთვას. პროგრამას დუალური სწავლების მიზნებისათვის ახლავს სწავლის შედეგების განაწილების სქემა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სწავლის შედეგების და კრედიტების დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის“. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები, ასევე წარმოდგენილია „საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა,“ რომელიც ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის შედეგების სისტემატიზაციას. კოლეჯმა წელს პირველად მიიღო პროფესიული სტუდენტების დუალური მიდგომით სწავლებისათვის, შესაბამისად ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. შრომის ბაზრის კვლევა IT მიმართულებით (კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ვებტექნოლოგიები);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კომპიუტერული ქსელები და სისტემების განხორციელებისათვის პრაქტიკის ობიექტები, რომლებთანაც თანამშრომლობს კოლეჯი: შპს „სქაი ჰაი“; შპს „მბს“; შპს „გრინ სისტემს“; შპს „აიტიკრაფტი“; შპს „სქაიტელი“; შპს „პისი ქორნერ“; „ორიენტ ლოჯიკი.“
4. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
5. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №03/21 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის №21/21 ბრძანება - „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების კომისიის შემადგენლობისა და თარიღების დადგენის შესახებ“;
8. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №26/21 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ;
9. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №08/20 და 2020 წლის 14 ოქტომბრის №15/20 ბრძანებები პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა შესახებ;
10. კოლეჯის აკადემიური საბჭოს №01/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
11. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
12. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 ოქმით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი;
13. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
14. კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამში ცვლილებების განხორციელების შესახებ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“: №03/19 – 19 სექტემბერი, 2019; №01/21 – 1 თებერვალი, 2021; №03/21 – 18 მარტი, 2021; №09/21 – 26 აპრილი, 2021;
15. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის“.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს შპს „საქართველოს უნივერსიტეტთან“ გაფორმებული ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსით 15 პროფესიული სტუდენტის და პარტნიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით მათ შორის „უზრუნველყოს არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის სწავლება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგების ფარგლებში, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს“.

კოლეჯს ქ. თბილისში, ჯანო ბაგრატიონის 6 ნომერში არსებული შენობის მე-4 სართულზე (556,31 კვ.მ). კეთილმოწყობილია A, B, C, BC სასწავლო გარემოები. ხოლო ამავე შენობის მესამე სართულზე სათანადო ინვენტარით აღჭურვილია A სასწავლო გარემოს რამდენიმე აუდიტორია. ვრცლად იხილეთ 5.1. სტანდარტის აღწერა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს ორივე სართულზე ჰქონდა სათანადო ინვენტართ აღჭურვილი A სასწავლო გარემოები, მოცემული პროგრამის მიზნებისათვის **A გარემო** მოწყობილი იყო შენობის მესამე სართულზე, რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- მაგიდა - 17 ცალი (მათ შორის მასწავლებლის -1 ცალი)
- სკამი - 15 ცალი
- პროექტორი - 1 ცალი
- კომპიუტერი (ქეისი) – 1ცალი
- კომბაინი - 1 ცალი
- დაფა - 1ცალი
- Flip Chart – 1 ცალი
- ნარჩენების კონტეინერი - 1ცალი
- მარკერი - 5 ცალი
- საშლელი - 1 ცალი

მოცემული პროგრამის მიზნებისათვის კოლეჯს შენობის მეოთხე სართულზე მოწყობილი BC გარემო აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- კომპიუტერი - 21 ცალი (მათ შორის ერთი პროექტორის)
- მაგიდა - 21 ცალი (მათ შორის მასწავლებლის -1 ცალი)
- სამუშაო მაგიდა (6 ადგილიანი) – 1 ცალი
- სკამი - 21 ცალი
- დაფა - 1 ცალი
- სანიშნი დაფა - 1ცალი
- კარადა - 1 ცალი
- პროექტორი - 1 ცალი
- კომპიუტერი (ქეისი - სასწავლო მოდელი, დაშლა-აწყობისთვის) – 1 ცალი
- ნარჩენების კონტეინერი - 1ცალი

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია:

- შპს „სქაი ჰაი“, ხელშეკრულება გაფორმებულია 01.02.2021, ხელშრკეულება გაფორმებულია პროგრამის განხორციელების ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- შპს „მბს“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 06.09.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

- შპს „გრინ სისტემს“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 27.08.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

- შპს „აიტიკრაფტი“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 30.08.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

- შპს „სქაიტელი“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 30.08.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ;

- შპს „პისი ქორნერ“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 06.09.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

- „ორიენტ ლოჯიკი“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 30.08.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **კომპიუტერული ქსელი და სისტემების** განხორციელებაში სულ ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 3 მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 5 მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **კომპიუტერული ქსელი და სისტემების** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებაში. პერსონალი ჩართულია სასწავლო პროცესში, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები შესწავლილი აქვს ვერიფიკაციის ჯგუფს და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები შეფასების სისტემის განვითარების მიმართულებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ მაღალი კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმარულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, მეტიც მათ აქვთ ცოდნა სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ და აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში, მათ შორის - შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. ხოლო მეწარმეობის მოდულის განმახორციელებელი პირი საჭიროებს კონსულტირებას შეფასების მიმართულების სწორად შერჩევას, დაგეგმვასა და შეფასებასთან დაკავშირებით, რაც გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ონლაინ ფორმით ინტერვიურებისას.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს დაგეგმილი აქვს პერსონალის ტრენინგი, მათ შორის განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 მაისის №02/1/19 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **კომპიუტერული ქსელი და სისტემების** პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დოკუმენტის მე-14 მულხით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერით დასტურდება საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებზე გაცნობის ფაქტი.

პროგრამის ხელმძღვალი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში „ჩემი UGcollage“. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები (დოკუმენტში ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის №05/21 საოქმო გადაწყვეტილებით). აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართულ პირებს, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებს, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ანგარიშგების საკითხები, რომელსაც ევალება ინდივიდუალი გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების სწავლების ანგარიშის წარმოდგენა ყოველი მოდულის დასრულებისას, განსაზღვრულია ანგარიშის განხილვისა და შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების მიდგომები. კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლია ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რაც გადამოწმდა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიზნობრივი კითხვების დასმის გზით.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩაირიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეს: სწავლის საფასური და შპს საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: პროფესიული მასწავლებლის საათობრივი ანაზღაურება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ადმინისტრაციის ანაზღაურება (პროგრამის წილი), მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, კომუნალური ხარჯები, იჯარა, მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა, პერსონალის განვითარების, საოფისე ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი.

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 12 სტუდენტი, ხოლო მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 15-ს. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 14 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები შპს საქართველოს უნივერსიტეტის დონაციაასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კოლეჯის პროგრამების განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს უნივერსიტეტის დონაციით. აღნიშნულის თაობაზე 2019 წლის 14 სექტემბერს შედგენილია შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა“ და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის და ითვალისწინებს შემდეგს: „იმ შემთხვევაში თუ მოხდება საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის საქმიანობის შეწყვეტა (იქნება ეს ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები), საქართველოს უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ალტერნატივის შექმნას, რომელიც მისცემს მათ (შესაძლებლობას) დაასრულონ შესაბამისი პროფესიული პროგრამა“. დაწესებულების ხელმძღვანელის მტკიცებით, პროგრამების განხორციელების მდგრადობას არ შეექმნება პრობლემა, პროგრამებზე ერთი აქტიური სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისთვის კაპიტალის გაზრდის დოკუმენტი - 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი 04/21, სადაც აღნიშნულია კოლეჯის დირექტორის მოხსენება „მიმდინარე აქტივობების განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭიროა დამატებითი თანხების“ საჭიროების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 1 აპრილს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ;
2. შპს „სქაი ჰაი“, 01.02.2021 გაფორმებული ხელშეკრულება;
3. შპს „მბს“, 06.09.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
4. შპს „გრინ სისტემს“, 27.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
5. შპს „აიტიკრაფტი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

6. შპს „სქაიტელი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
7. შპს „პისი ქორნერ“ 06.09.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
8. „ორიენტ ლოჯიკი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
9. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 მაისის №02/1/19 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
10. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
11. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
12. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ბიუჯეტი განხორციელების ბიუჯეტი;
14. შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა“ და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის 2019 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება;
15. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისთვის კაპიტალის გაზრდის დოკუმენტი - 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი 04/21;
16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
17. სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა - „ჩემი UGcollage“.
18. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს ღონისძიებები აღწერილი აქვს შემდეგი მიმართულებით:
   - სასწავლო პროცესის ადმინისტრირების შემოწმება, ხორციელდება პერიოდულად;
   - სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წლის ბოლოს;
   - პროფესიული მასწავლებლის ტრენინგი/გადამზადება;
   - გარე ექსპერტის მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ;
   - კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები შესაბამისი მიმართულების მიხედვით, ისე რომ, მაქსიმალურად იქნას არიდებული ინტერესთა კონფლიქტი.

რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, წლის განმავლობაში ტარდება კვლევები სხვადასხვა მიმართულებით:

- **სტუდენტების გამოკითხვა** (წელიწადში ორჯერ)
- **კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა** (6 თვეშ ერთხელ)
- **დამსაქმებლების / პარტნიორების კვლევა** (წელიწადში ერთხელ)
- **პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი** (6 თვეშ ერთხელ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- **პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კვლევა**
- **მასწავლებლის გამოკითხვა** (სამ თვეში ერთხელ)
- **კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების შესახებ ინფორმირებულების კვლევა** (ავსებს ადმინისტრაცია, პარტნიორი, მასწავლებელი, სტუდენტი)

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესრულების მტკიცებულებები, თუმცა დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ცალკეული მიმართულებით გამოკითხვები ჩატარებულია, თუმცა ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა, სხვა სახის გამოკითხვები დაგეგმილია და ეტაპობრივად შესრულდება. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია „აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“, რომელიც ხელმოწერილია დაწესებულების ხელმძღვანელისა და ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ, იხ. დანართი №2., მოთხოვნილი დოკუმენტი N1. და დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ასევე წარუდგინა კოლეჯის მიერ ავტორიზაციის ცალკეული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის გაწერილი „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა), იხ. დანართი №3, აქტივობა N2. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“. დოკუმეტში გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აქტივობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეჯმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 ოქმით, ხოლო პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებით:

- №03/19 – 19 სექტემბერი, 2019 - ცვლილება განპირობებულია - ცვლილება განპირობებულია პროგრამის ძირითად დოკუმენტში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებით
- №01/21 – 1 თებერვალი, 2021 ცვლილება განპირობებულია პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებასთან დაკავშირებით;
- №03/21 – 18 მარტი, 2021 ცვლილება განპირობებულია პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით მოდულების სწავლების რიგითობის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- №09/21 – 26 აპრილი, 2021 ცვლილება განპირობებულია პროგრამის ძირითად დოკუმენტში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებით

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, რომლის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელლების მიზნით, მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებათა კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. „აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“;
3. „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“;
5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში - „ჩემი UGcollage“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯმა სწრაფად და მარტივად განახორციელა რეაგირება და სასწავლო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ სასწავლო პროგრამის სასწავლო გეგმის ცვლილების საჭიროება არ დამდგარა, აღნიშნულს ხელი შეუწყო პროგრამის სპეციფიკამ (წარმადგენს IT მიმართულებას, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწვლებლები ადვილად ადპტირდნენ დისტანციურ მიდგომებთან).

დუალური მიდგომით სწავლებისათვის წარმოდგენილია სწავლის შედეგების განაწილების სქემა, გამიჯნული კოლეჯსა და სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები. საანგარიშო პერიოდში პროფესიული სტუდენტები განაწილებულნი არიან სასწავლო საწარმოში.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან, საფინანსო სამსახურთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭირობის შესახებ შესაბამის სამსახურს მიმართონ შიდა სისტემის მეშვეობით და მათგან უკუკავშირსაც ამავე გზით იღებენ.

დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯი ხელს უწყობდა პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო და შეფასების პროცესის თანმიმდევრულად და უწყვეტად განხორციელებაში, თუმცა აღნიშნული კოლეჯს დარეგულირებული არ აქვს, რისთვისაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს დისტანციური სწავლების წესი. აღნიშნული აქტივობა დაწესებულებას გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში და მიმდინარე წლის იანვრის ბოლომდე დაგეგმილი აქვს დისტანციური წესის შემუშავება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს დისტანციური სწავლების წესი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, შიდა ონალინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აღნიშნულის გამოყენებით სტუდენტები მარტივად ახორციელებენ კომუნიკაციას კოლეჯის ადმინისტრაციასთან, მათ აქვთ შესაძლებლობა ერთ სივრცეში წერილობით მიმართონ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ნახონ შეფასებები, აკონტროლ შეფასებისა და მეცადინეობების განრიგი, მიიღონ სხვა საჭირო ინფორმაცია და ა.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვნელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან; პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ; დამატებითი შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტის განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, ხოლო დამატებითი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ინიშნება 3 დღის ვადაში.

საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სასწავლო გეგმისთ სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, პროფესიულ სტუდენტთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს მათ საჭიროებებზე და ახდენს შესაბამის რეაგირებას. აღნიშნული დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები 5 კომპანიასთან, რომლითაც განისაზღვრება პროგრამის გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის (მეორე სწავლის შედეგი) მოდულების განხორციელების საკითხი. დაწესებულების პარტნიორებია: შპს „პისი ქორნერ“, შპს „ორიენჯ ლოჯიკი“, შპს „გრინ სისტემს“, შპს „მბს“, შპს „აიტიკრაფტი“. თითოეულ მემორანდუმში განსაზღვრულია პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (თითო მემორანდუმის ფარგლებში 60 სტუდენტი), მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პრაქტიკაზე შესაბამისი დარგის ინსტრუქტორს გამოყოფის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მემორანდუმები მოქმედია უვადოდ.

კოლეჯს შპს „სქაი ჰაი“-სთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** დუალურად განხორციელების თაობაზე. საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა პირველად მიიღო დუალური მიდგომის სწავლებისათვის 4 პროფესიული სტუდენტი. ამჟამად პროფესიული სტუდენტები სწავლების პროცესს გადიან სასწავლო საწარმოში.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის შეძენილია ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალე. აღნიშნული გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
3. შპს „სქაი ჰაი“, 01.02.2021 გაფორმებული ხელშეკრულება;
4. შპს „მბს“, 06.09.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
5. შპს „გრინ სისტემს“, 27.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
6. შპს „აიტიკრაფტი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
7. შპს „სქაიტელი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
8. შპს „პისი ქორნერ“ 06.09.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
9. „ორიენტ ლოჯიკი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
10. სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა „ჩემი UGcollage“;
11. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
12. კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზული დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებულია შეფასების სისტემის შემდეგი სქემა: სწავლის შედეგის დადასტურდა ან სწავლის შედეგის არ დადასტურდა. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: შეფასების მიდგომები და პრინციპები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიდომები, კოლეჯში პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ეყრდნობა კონკრეტულ მოდულს. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის/შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს პროფესიული მასწავლებელი შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს. იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შეფასების ჩატარებამდე 1 კვირით ადრე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან წერილობითი ფორმით. შეფასების მიზნებისათვის, კოლეჯში გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები. კოლეჯში განმეორებითი შეფასებისას გამოიყენება შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ასევე გადიან ვალიდაციას ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას. კოლეჯში შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაცულია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის №03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „ვერიფიკაციის პროცედურები და მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია შეფასების სიტემის ვერიფიკაციის მიდგომები, ვერიფიკაციის დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხები. კოლეჯის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში დარეგულირებულია ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები.

კოლეჯში მიმდინარე წლის 24 სექტემბერს დასრულდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი - ვებტექნოლოგიების პროფესიული პროგრამისათვის. აღნიშნული პროგრამა შეირჩა კოლეჯის რისკების მართვის სქემის შესაბამისად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია ვერიფიკაციის დასკვნა. ვერიფიკაცია განხორციელდა კოლეჯის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის განრიგის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესში შეფასდა 4 მოდულის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების პროცესი. ვერიფიკაციის დასკვაში შეფასებულია კოლეჯში არსებული შეფასების სისტემა, აღწერილია შედეგები და წარმოდგენილია პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები, მათ შორის განსაზღვრულია პერსონალის გადამზადების, უნიფიცირებული სამუშაო ფორმებისა და შეფასების პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **კომპიუტერული ქსელი და სისტემები** შეფასების სისტემის ვერიფიკაცია დაგეგმილია 2022 წელს.

შეფასების სიტემის ვერიფიკაციის შედეგები განხილულია პერსონალის სხდომაზე და შემუშავებულია აქტივობათა განხორციელების გეგმა, რა დროსაც გათვალისწინებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში იდენტიფიცირებული საჭიროებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

3. დაწესებულება პროფესიული სტუდენტის შეფასებას ახორციელებს ელექტრონულად, კოლეჯის შიდა ელექტრონულ სისტემაში მომზადებულია შესაბამისი ბაზები, რომელშიც განთავსებულია პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ინსტრუმენტები.

პროფესიული მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში „ჩემი UGcollage“. აღნიშნული პროცედურის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.

დაწესებულების საგანმანათლენლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ელექრონულად;

სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მოდულების პორტფოლიოები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, კალენდარული გეგმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობისა და შედეგებზე რეაგირების მიდგომები, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი განზოგადებული სახით იხილავს შეფასების შედეგებს პროფესიულ სტუდენტებთან და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს, რაც გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
2. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის №03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ვერიფიკაციის პროცედურები და მექანიზმები“;
3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნა;
4. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ელექტრონულ სისტემა „ჩემი UGcollage“;
5. სწავლის შედეგების შეფასების უწყისები;
6. პროფესიული სტუდენტთა პორტფოლიოები;
7. პრფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამის დამტკიცება: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის 03/19 ოქმით პროგრამის ცვლილებები: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები: №06/20 – 6 აგვისტო, 2020; №02/21 – 9 მარტი, 2021.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	მოდულური - 15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	--
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	--

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	--	სრული შესაბამისობა
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	--	სრული შესაბამისობა
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	--	მეტწილი შესაბამისობა
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	--	სრული შესაბამისობა

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად, რადგან 2.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, რაც განპირობებულია კოლეჯის მიერ პროგრამის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასათანადოდ განხორციელებით, ამასთან აღნიშნული პროცესის სრულყოფისთვის კოლეჯის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დრო რელევანტურია და არ აღემატება სტანდარტის მეტწილი შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს - 6 თვეს, რისთვისაც წარმოდგენილია კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება დამსაქმებელთა მოთხოვნისა და ბაზრის კვლევის საფუძველზე. დირექტორის მოადგილე რეკომენდაციით მიმართავს დაწესებულების დირექტორს მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემუშავებისა და დამატებისა მიზნით და წარუდგენს შრომის ბაზრის კვლევას. აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.“ აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია კოლეჯის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა IT მიმართულებით (კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ვებტექნოლოგიები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ვებტექნოლოგიები“** შემუშავებულია აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის მიერ ამა თუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ასევე ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ვრცლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პროგრამების მიზანშეწონილობის შესწავლასთან, რაც კოლეჯს დაეხმარება როგორც სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას, ისე არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ვებტექნოლოგიების** განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს კვალიფიციული პერსონალი და თანამშრომლობს ბაზარზე წამყვან ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: შპს „ლემონდუ ბიზნესი“; შპს „ლაინსშეარს“; შპს „ორიენტ ლოჯიკი.“

კოლეჯის მისია ზოგადი ხასიათისაა და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ვებტექნოლოგიები“** განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის მიერ ამა თუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ასევე ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ვრცლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პროგრამების მიზანშეწონილობის შესწავლასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯს დაეხმარება როგორც სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას, ისე არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ვებტექნოლოგიები“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „ვებტექნოლოგიები“ 06114-პ განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მათ შორის დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბერს გამოიცა №21/21 ბრძანება - „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების კომისიის შემადგენლობისა და თარიღების დადგენის შესახებ“. ბრძანებაში განსაზღვრულია: მოტივაციური გასაუბრების კომისიის შემადგენლობა თითოეული პროგრამისათვის, პროგრამის დასახელებები, აპლიკანტთა რაოდენობები, მისაღებ პროფესიულ სტდენტთა რაოდენობები, გასაუბრების თარიღები და საათი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კომისიის მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ამსახველი დოკუმენტები - გასაუბრების კითხვარები და შეფასებები, ასევე დათვალიერდა პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა და კომისიის თითოეული წევრის მიერ შეტანილი შეფასებები/შეჯამებული ინფორმაცია.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №26/21 ბრძანება გამოცემულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ. მოტივაციური გასაუბრების შედეგებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა 2020 წელს, რის თაობაზეც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №08/20 და 2020 წლის 14 ოქტომბრის №15/20 ბრძანებები.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ იყო დიდი, ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეამოწმა დაწესებულების მიერ შეყვანილი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის აკადემიური საბჭოს №01/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დროს გასათვალისწინებელ გარემოებებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია **ვებტექნოლოგიების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი. დოკუმენტში დასაბუთებულია 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის კოლეჯის არსებული რესურსის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

4. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით **„ვებტექნოლოგიები“** განსაზღვრული რესურსები და აღჭურვილობა, ასევე სასწავლო რესურსი ემთხვევა „ვებტექნლოგიების“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **ვებტექტოლოგიების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით.

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 63 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 ოქმით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მე-8 მუხლის მიხედვით კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის კოლეჯი აკადემიური საბჭო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ვებტექნოლოგიები“** დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის 03/19 ოქმით. პროგრამაში განხორციელებულია ცვლილებები საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებით: №06/20 – 6 აგვისტო, 2020; №02/21 – 9 მარტი, 2021.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„ვებტექნოლოგიები“** იდენტურია ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან და დასახელებასთან, შესაბამისად არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„ვებტექნოლოგიები“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამას დუალური სწავლების მიზნებისათვის ახლავს სწავლის შედეგების განაწილების სქემა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სწავლის შედეგების და კრედიტების დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულმა სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის დადასტურების შემდეგ კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე. კვალიფიკაცია არის დაწესებულების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით. პროფესიულ სტუდენტს, ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი პროგრამის დასრულებიდან 2 თვის ვადაში.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა გამოუშვა პირველი 4 კურსდამთავრებული მოცემულ პროგრამაზე. პროფესიულ სტუდენტთათვის ზემოაღნიშნული პროცედურით განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება და შედეგები ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. რაც გადამოწმებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. შრომის ბაზრის კვლევა IT მიმართულებით (კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ვებტექნოლოგიები);
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კომპიუტერული ქსელები და სისტემების განხორციელებისათვის პრაქტიკის ობიექტები, რომლებთანაც თანამშრმლობს კოლეჯი: შპს „ლემონდუ ბიზნესი“; შპს „ლაინსშეარს“; შპს „ორიენტ ლოჯიკი.“
3. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
4. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის №10/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

5. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის №21/21 ბრძანება - „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების კომისიის შემადგენლობისა და თარიღების დადგენის შესახებ“;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №26/21 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ;
8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №08/20 და 2020 წლის 14 ოქტომბრის №15/20 ბრძანებები პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა შესახებ;
9. კოლეჯის აკადემიური საბჭოს №01/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
10. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
11. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 ოქმით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი;
16. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის 03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“;
17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში - „ვებტექნოლოგიები“ განხორციელებულია ცვლილებები საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებით: №06/20 – 6 აგვისტო, 2020; №02/21 – 9 მარტი, 2021.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ვებტექნოლოგიები“** სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს შპს „საქართველოს უნივერსიტეტთან“ გაფორმებული ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსით 15 პროფესიული სტუდენტის და პარტნიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით.

კოლეჯს ქ. თბილისში, ჯანო ბაგრატიონის 6 ნომერში არსებული შენობის მე-4 სართულზე (556,31 კვ.მ). კეთილმოწყობილია A, B, C, BC სასწავლო გარემოები. ხოლო ამავე შენობის მესამე სართულზე სათანადო ინვენტარით აღჭურვილია A სასწავლო გარემოს რამდენიმე აუდიტორია. ვრცლად იხილეთ 5.1. სტანდარტის აღწერა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს ორივე სართულზე ჰქონდა სათანადო ინვენტართ აღჭურვილი A სასწავლო გარემოები, მოცემული პროგრამის მიზნებისათვის **A გარემო** მოწყობილი იყო შენობის მესამე სართულზე, რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- მაგიდა - 16 ცალი (მათ შორის მასწავლებლის -1 ცალი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- სკამი - 17 ცალი
- კარადა - 1 ცალი
- პროექტორი - 1 ცალი
- კომპიუტერი (ქეისი) – 1ცალი
- დაფა - 1ცალი
- Flip Chart – 1 ცალი
- ნარჩენების კონტეინერი - 1ცალი

მოცემული პროგრამის მიზნებისათვის კოლეჯს შენობის მეოთხე სართულზე მოწყობილი BC გარემო აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- კომპიუტერი - 16 ცალი (მათ შორის ერთი პროექტორის)
- მაგიდა - 15 ცალი
- მასწავლებლის მაგიდა - 1 ცალი
- სკამი - 16 ცალი (მათ შორის მასწავლებლის -1 ცალი)
- კომბაინი - 1 ცალი
- დაფა - 1 ცალი
- პროექტორი - 1 ცალი
- ნარჩენების კონტეინერი - 1ცალი

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია:

- შპს „ლემონდუ ბიზნესი“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 30.08.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

- შპს „ლაინსშეარს“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 18.05.2021, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- შპს „ორიენტ ლოჯიკი“, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 30.08.2019, მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, ითვალისწინებს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ვებტექნოლოგიების** განხორციელებაში სულ ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 4 მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ვებტექნოლოგიები** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებაში. პერსონალი ჩართულია სასწავლო პროცესში, მათ მიერ შემუშავებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები შესწავლილი აქვს ვერფიკაციის ჯგუფს და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები შეფასების სისტემის განვითარების მიმართულებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ მაღალი კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, მეტიც მათ აქვთ ცოდნა სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ და აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში, მათ შორის - შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. ხოლო მეწარმეობის მოდულის განმახორციელებელი პირი საჭიროებს კონსულტირებას შეფასების მიმართულების სწორად შერჩევას, დაგეგმვასა და შეფასებასთან დაკავშირებით, რაც გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ინტერვიურებისას, რაც განხორციელდა ონლაინ.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს დაგეგმილი აქვს პერსონალის ტრენინგი, მათ შორის განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები და დაგეგმილია მათი შესრულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №02/19 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ვებტექნოლოგიები** პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დოკუმენტის მე-14 მულხით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერით დასტურდება საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებზე გაცნობის ფაქტი.

პროგრამის ხელმძღვალი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელბაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **ვებტექნოლოგიები** მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში „ჩემი UGcollage“. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები (დოკუმენტში ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის №05/21 საოქმო გადაწყვეტილებით). აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართულ პირებს, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებს, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ანგარიშგების საკითხები, რომელსაც ევალება ინდივიდუალი გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების სწავლების ანგარიშის წარმოდგენა ყოველი მოდულის დასრულებისას, განსაზღვრულია ანგარიშის განხილვისა და შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების მიდგომები. კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლია ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რაც გადამოწმდა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიზნობრივი კითხვების დასმის გზით.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მათ შესაბამისი სერვისი, მათ შორის: მოზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ვებტექნოლოგიები** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეს: სწავლის საფასური და შპს საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: პროფესიული მასწავლებლის საათობრივი ანაზღაურება, ადმინისტრაციის ანაზღაურება (პროგრამის წილი), მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, კომუნალური ხარჯები, იჯარა, მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა, პერსონალის განვითარების, საოფისე ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი.

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კვოტა შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს, ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 10 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები შპს საქართველოს უნივერსიტეტის დონაციაასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კოლეჯის პროგრამების განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს უნივერსიტეტის დონაციით. აღნიშნულის თაობაზე 2019 წლის 14 სექტემბერს შედგენილია შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა“ და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის და ითვალისწინებს შემდეგს: „იმ შემთხვევაში თუ მოხდება საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის საქმიანობის შეწყვეტა (იქნება ეს ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები), საქართველოს უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას რომ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ალტერნატივის შექმნას, რომელიც მისცემს მათ (შესაძლებლობას) რომ დაასრულონ შესაბამისი პროფესიული პროგრამა“. დაწესებულების ხელმძღვანელის მტკიცებით, პროგრამების განხორციელების მდგრადობას არ შეექმნება პრობლემა, პროგრამებზე ერთი აქტიური სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისთვის კაპიტალის გაზრდის დოკუმენტი - 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი N04/21, სადაც აღნიშნულია კოლეჯის დირექტორის მოხსენება „მიმდინარე აქტივობების განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭიროა დამატებითი თანხების“ საჭიროების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ვინაიდან **ვებტექნოლოგიების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ერთი ციკლი მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდა, კოლეჯმა გააანალიზა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი და წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტის ანალიზი, იხ. დანართი №20

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს უნივერსიტეტთან 2020 წლის 1 აპრილს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ;
2. შპს „ლემოდუ ბიზნესი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
3. შპს „ლაინსშეარს“ 18.05.2021 გაფორმებული ხელშეკრულება;
4. შპს „ორიენტ ლოჯიკი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №02/19 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ვებტექნოლოგიები პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
6. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
7. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“;
8. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ ბიუჯეტი განხორციელების ბიუჯეტი;
10. შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა“ და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის 2019 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება;
11. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისთვის კაპიტალის გაზრდის დოკუმენტი - 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი 04/21;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოიების“ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

13. სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა - „ჩემი UGcollage“.
14. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესში კოლეჯში მოიაზრებს სასწავლო პროცესს. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს ღონისძიებები აღწერილი აქვს შემდეგი მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების შემოწმება, ხორციელდება პერიოდულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

- სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წლის ბოლოს;
- პროფესიული მასწავლებლის ტრენინგი/გადამზადება;
- გარე ექსპერტის მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ;
- კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები შესაბამისი მიმართულების მიხედვით, ისე რომ, მაქსიმალურად იქნას არიდებული ინტერესთა კონფლიქტი.

რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის უზრუნველჰყოფის მიზნით, წლის განმავლობაში ტარდება კვლევები სხვადასხვა მიმართულებით:

- **სტუდენტების გამოკითხვა** (წელიწადში ორჯერ)
- **კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა** (6 თვეშ ერთხელ)
- **დამსაქმებლების / პარტნიორების კვლევა** (წელიწადში ერთხელ)
- **პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი** (6 თვეშ ერთხელ)
- **პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კვლევა**
- **მასწავლებლის გამოკითხვა** (სამ თვეში ერთხელ)
- **კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების შესახებ ინფორმირებულების კვლევა** (ავსებს ადმინისტრაცია, პარტნიორი, მასწავლებელი, სტუდენტი)

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესრულების მტკიცებულებები. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ცალკეული მიმართულებით გამოკითხვები ჩატარებულია, თუმცა ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა, სხვა სახის გამოკითხვები დაგეგმილია და ეტაპობრივად შესრულდება. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია „აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“, რომელიც ხელმოწერილია დაწესებულების ხელმძღვანელისა და ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ, იხ. დანართი №2., მოთხოვნილი დოკუმენტი N1. და დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ასევე წარუდგინა კოლეჯის მიერ ავტორიზაციის ცალკეული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბმისობის უზრუნველყოფისათვის გაწერილი „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა), იხ. დანართი №3, აქტივობა N2. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“. დოკუმეტში გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აქტივობები.

თუმცა მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე კოლეჯმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ვებტექნოლოგიები“** პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 ოქმით, ხოლო პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებით:
- №06/20 – 6 აგვისტო, 2020 - ცვლილება განპირობებულია - პროგრამის ძირითადი დოკუმენტიდან იმ ორი სწავლის შედეგის ამოღებით, რომელიც გათვალისწინებული იყო არჩევითი მოდულებით. აღნიშნულ არჩევით მოდულებს კოლეჯი არ ახორციელებს;
- №02/21 – 9 მარტი, 2021 ცვლილება განპირობებულია პროგრამის მოდულების სწავლების თანმიმდევრობის ცვლილებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, რომლის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელლების მიზნით, მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის №19/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმის“ (შესაბამისობის გეგმა) №2 აქტივობა ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებათა კვლევას, რომლისთვისაც დათმობილია 2 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2022 წლის თებერვალში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კითხვარები მოიცავენ ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. „აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“;
3. „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის განვითარების გეგმა“ (შესაბამისობის გეგმა);
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“;
5. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ვებტექნოლოგიები დამტკიცების შესახებ;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ვებტექნოლოგიები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ვებტექნოლოგიები“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად; პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის სამსახური, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში - „ჩემი UGcollage“.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯმა სწრაფად და მარტივად განახორციელა რეაგირება და სასწავლო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ სასწავლო პროგრამის სასწავლო გეგმის ცვლილების საჭიროება არ დამდგარა, აღნიშნულს ხელი შეუწყო პროგრამის სპეციფიკამ (წარმადგენს IT მიმართულებას, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწვლებლები ადვილად ადპტირდნენ დისტანციურ მიდგომებთან).

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ვებტექნოლოგიების“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან, საფინანსო სამსახურთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭირობის შესახებ შესაბამის სამსახურს მიმართონ შიდა სისტემის მეშვეობით და მათგან უკუკავშირსაც ამავე გზით იღებენ.

დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯი ხელს უწყობდა პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო და შეფასების პროცესის თანმიმდევრულად და უწყვეტად განხორციელებაში, თუმცა აღნიშნული კოლეჯს დარეგულირებული არ აქვს, რისთვისაც რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს დისტანციური სწავლების წესი. აღნიშნული აქტივობა დაწესებულებას გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში და მიმდინარე წლის იანვრის ბოლომდე დაგეგმილი აქვს დისტანციური წესის შემუშავება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს დისტანციური სწავლების წესი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ვებტექნოლოგიები“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, შიდა ონალინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აღნიშნულის გამოყენებით სტუდენტები მარტივად ახორციელებენ კომუნიკაციას კოლეჯის ადმინისტრაციასთან, მათ აქვთ შესაძლებლობა ერთ სივრცეში წერილობით მიმართონ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ნახონ შეფასებები, აკონტროლონ შეფასებისა და მეცადინეობების განრიგი, მიიღონ სხვა საჭირო ინფორმაცია და ა.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვნელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ვებტექნოლოგიები“** განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან; პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ; დამატებითი შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტის განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, ხოლო დამატებითი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ინიშნება 3 დღის ვადაში.

საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სასწავლო გეგმისთ სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, პროფესიულ სტუდენტთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს მათ საჭიროებებზე და ახდენს შესაბამის რეაგირებას. აღნიშნული დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ვებტექნოლოგიები“** ფარგლებში გაფორმებული აქვს მემონარდუმები 3 კომპანიასთან, რომლითაც გასაზღვრულია პრაქტიკული პროექტის (მეორე სწავლის შედეგი) მოდულის სწავლის შედეგის მიღწევის საკითხი. დაწესებულების პარტნიორებია: შპს „ლაინსშეარს“, შპს „ორიენჯ ლოჯიკი“, შპს „ლემონდუ ბიზნესი“, თითოეულ მემორანდუმში განსაზღვრულია პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (თითო მემორანდუმის ფარგლებში 60 სტუდენტი), მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პრაქტიკაზე შესაბამისი დარგის ინსტრუქტორს გამოყოფის და სხვა მნიშვნლოვანი საკითხები, მემორანდუმები მოქმედია უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ვებტექნოლოგიები“** არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის შეძენილია ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალე. აღნიშნული გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „ლემოდუ ბიზნესი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
2. შპს „ლაინსშეარს“ 18.05.2021 გაფორმებული ხელშეკრულება;
3. შპს „ორიენტ ლოჯიკი“ 30.08.2019 გაფორმებული ხელშეკრულება;
4. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის, N12/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
5. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №03/19 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“;
6. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის №01/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინდივიდულური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ ბიუჯეტი განხორციელების ბიუჯეტი;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოიების“ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
9. სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა - „ჩემი UGcollage“.
10. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
11. კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებულია შეფასების სისტემის შემდეგი სქემა: სწავლის შედეგის დადასტურდა ან სწავლის შედეგის არ დადასტურდა. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: შეფასების მიდგომები და პრინციპები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიდომები, კოლეჯში პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ეყრდნობა კონკრეტულ მოდულს. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის/შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს პროფესიული მასწავლებელი შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს. იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შეფასების ჩატარებამდე 1 კვირით ადრე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან წერილობითი ფორმით. შეფასების მიზნებისათვის, კოლეჯში გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები. კოლეჯში განმეორებითი შეფასებისას გამოიყენება შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ასევე გადიან ვალიდაციას ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვით.

აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას. კოლეჯში შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაცულია შეფასების სისტემა სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის №03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „ვერიფიკაციის პროცედურები და მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია შეფასების სიტემის ვერიფიკაციის მიდგომები, ვერიფიკაციის დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხები. კოლეჯის შეფასების სისტემის ვეროფიკაცია ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში დარეგულირებულია ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები.

კოლეჯში მიმდინარე წლის 24 სექტემბერს დასრულდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი და წარმოდგენილია ვერიფიკაციის დასკვნა. ვერიფიკაცია განხორციელდა კოლეჯის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის განრიგის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესში შეფასდა 4 მოდულის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების პროცესი. ვერიფიკაციის დასკვაში შეფასებულია კოლეჯში არსებული შეფასების სისტემა, აღწერილია შედეგები და წარმოდგენილია პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები, მათ შორის განსაზღვრულია პერსონალის გადამზადების, უნიფიცირებული სამუშაო ფორმებისა და შეფასების პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები განხილულია პერსონალის სხდომაზე და შემუშავებულია აქტივობათა განხორციელების გეგმა, რა დროსაც გათვალისწინებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში იდენტიფიცირებული საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულება პროფესიული სტუდენტის შეფასებას ახორციელებს ელექტრონულად, კოლეჯის შიდა ელექტრონულ სისტემაში მომზადებულია შესაბამისი ბაზები, რომელშიც განთავსებულია პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ინსტრუმენტები.

პროფესიული მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ელექტრონულ სისტემაში „ჩემი UGcollage“. აღნიშნული პროცედურის ადმინისტრებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.

დაწესებულების საგანმანათლენლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ელექრონულად;

სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მოდულების პორტფოლიოები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, კალენდარული გეგმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობისა და შედეგებზე რეაგირების მიდგომები, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი განზოგადოებული სახით იხილავს შეფასების შედეგებს პროფესიულ სტუდენტებთან და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს, რაც გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
2. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის №03/20 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ვერიფიკაციის პროცედურები და მექანიზმები“;
3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნა;
4. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ელექტრონულ სისტემა „ჩემი UGcollage“;
5. სწავლის შედეგების შეფასების უწყისები;
6. პროფესიული სტუდენტთა პორტფოლიოები;
7. პრფესიულ სტუდენტებთან, კურსდამტავრებულებთან, კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1.	- ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი №2.	- აქტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 2021 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ“;
დანართი №3.	- „სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“;
დანართი №4.	- სტუდენტთა პლატფორმა;
დანართი №5.	- კოლეჯის 2021-2022 სწლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისი №20/21 ბრძანება;
დანართი №6.	- კოლეჯსა და საქართველოს უნივერისტეტს შორის 2019 წლის 01 მაისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი
დანართი №7.	- უნივერისტეტის სტუდენტურ საქმეთა დებულება;
დანართი №8.	- სტუდენტურ საქმეთა ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში;
დანართი №9.	- კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის 2020 წლის სამუშაოს შესრულების ანგარიში;
დანართი №10.	- „UG კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის“ ანგარიში;
დანართი №11.	- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის №20/21 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2021-2022წწ“;
დანართი №12.	- საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულებები;
დანართი №13.	- საჯარო სეესტრიდან ამონაწერი;
დანართი №14.	- ფართის აზომვითი ნახაზები;
დანართი №15.	- 2021 წლის 13 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი მატერიალური რესურსის ჩაბარების შესახებ;
დანართი №16.	-საქართველოს უნივერსიტეტის წერილი პროფესიული კოლეჯის საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმის განხილვისა და შეთანხმების შესახებ;
დანართი №17.	- საგანგებო სიუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა №341 (03.12.2021, MIA 9 21 03174295);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

დანართი №18.	- საქართველოს უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის 2020 წლის 2 მარტს IT მხარდაჭერის შესახებ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე წარმოდგენილი დასკვნა;
დანართი №19.	- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
დანართი №20.	- ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (ანალიზი).

09.02.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----